ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გვ.2

რამაზ საყვარელიძე: „საქართველოში საპარლამენტო მოდელი არ გაამართლებს“

12 აპრილიდან

ლიონ ფოიხტვანგერი

ბოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ოთხშაბათი, 12 აპრილი, 2017 №86 (7321) ფასი: 50 თეთრი

ეკა ბესელია: „იუსტიციის მინისტრობას არ ვაპირებ“

გვ.2

რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში

ხმაური თბილისის საკრებულოში

გვ.3

დავით ნარმანია გარემოვაჭრეებს გაექცა

გვ.4

რა კომპრომატები აქვს საქართველოს ხელისუფლებაზე პუტინს

ზაალ კასრელიშვილი: „როგორც კი სამაჩაბლოსთვის სახელის შეცვლაზე დაიწყო საუბარი, ჩვენ ჩეჩნეთის, ჩერქეზეთისა და თათრეთის დამოუკიდებლობა უნდა გვეღიარებინა“

გვ.7

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

ვახტანგ მაისაია: „რუსეთსა და ამერიკას შორის უშუალო დაპირისპირებაა მოსალოდნელი“

გვ.5

სკოლებსა და საბავშვო ბაღებში 14-დან 17 აპრილის ჩათვლით დასვენების დღეები იქნება

გვ.6

ISSN 1987-9385

პროფესიონალი კადრების სიმცირე ხელისუფლების ბრალია

გვ.6

რამაზ საყვარელიძე: „საქართველოში საპარლამენტო მოდელი არ გაამართლებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საპარლამენტო მოდელში მთავარია ძლიერი, განვითარებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საქართველოში არ არსებობენ.

– ბატონო რამაზ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის სამუშაო ვარიანტი უკვე ცნობილია. ახალი რედაქციის მიხედვით, პრეზიდენტს ამრჩევთა კოლეგია ფარული კენჭისყრით ირჩევს. მეორე ცვლილება კი საარჩევნო სისტემას ეხება, მაჟორიტარული არჩევნები უქმდება და პროპორციულზე გადავდივართ. როგორ შეაფასებთ ამ ცვლილებებს? პრეზიდენტმა თქვა, რომ რეფერენდუმზე უნდა გატანილიყო.

– რეფერენდუმი მიღებული ფორმაა საერთოდ კონსტიტუციის ლეგიტიმურობის პროცესში. ბევრ ქვეყანაში კონსტიტუცია ჯერ რეფერენდუმზე გადის და შემდეგ ხდება მისი პარლამენტის მიერ იურიდიულად დამტკიცება და უზენაეს კანონად ქცევა. მე, ცხადია, მომხრე ვიქნებოდი, ამ ცვლილებების გატანა მომხდარიყო რეფერენდუმზე, მაგრამ არა ცალკე გატანილიყო პრეზიდენტის არჩევის წესი.

არ ვთვლი, რომ ეს პუნქტი ყველაზე მნიშვნელოვანია კონსტიტუციაში. არსებობს საპარლამენტო ქვეყნები, სადაც პირდაპირი წესით ირჩევენ პრეზიდენტს, მაგრამ, არსებობს ქვეყნები, სადაც არ ირჩევენ, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში დედოფალი, რომელიც საერთოდ მემკვიდრეობით იღებს ძალაუფლებას. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ ლოგიკური აუცილებლობა არ არსებობს, ქვეყანაში სუსტი ძალაუფლების მქონე თანამდებობის პირი საერთო სახალხო წესით აირჩიო.

– მაღალ ლეგიტიმაციაზეა საუბარი.

– რა საჭიროა მაღალი ლეგიტიმაცია?!

– თუ უფლებამოსილებები ადეკვატური არ იქნება?

– დიახ, სად არის აქ ლოგიკა. ამ მხრივ ზედმეტ ძალისხმევად მიმაჩნია იმაზე მთელი აქცენტირება, რომ, გინდა თუ არა, საერთო-სახალხო გზით უნდა იყოს არჩეული. სახალხო არჩევნებით თუ ავირჩევთ პრეზიდენტს, მაშინ ხალხს შესაბამისი მოტივიც უნდა ჰქონდეს.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ პარლამენტის არჩევნებზე ამომრჩევლის რამდენი პროცენტი იყო მისული?! რატომ იყო დაბალი აქტივობა? ხალხს არ აქვს მოტივაცია. ამ დროს პარლამენტი მთავრობას აყალიბებს და ღამის მთელ სახელმწიფოს განაგებს, იღებს კანონებს და ა.შ. პრეზიდენტი, რომელიც არსებითად არაფერს განაგებს, მის არჩევნებზე ხუთი კაცი რომ მივიდეს, სირცხვილი არ იქნება?!

– ირაკლი კობახიძის კონცეფცია, როგორც კონსტიტუციონალისტის, რომელიც კონსტიტუციის ახალ რედაქციაშია ჩადებული, კონსტიტუციონალისტები მიიჩნევენ, რომ არის საპარლამენტო მოდელზე გადასვლა. რამდენად მისაღებია საპარლამენტო მოდელი ჩვენნაირი ქვეყნისთვის, გაამართლებს?

– მე ვიცნობ და მისაუბრია კომისიის იმ წევრებთან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საპარლამენტო მმართველობა საუკეთესო მოდელია ჩვენი ქვეყნისთვის. მე მათ გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ, თუ გამოგიტყდებით, რომ საპირისპიროს ვფიქრობ, ალბათ, არც ისინი შეიტანენ ჩემს გულწრფელობაში ეჭვს. თუმცა, მე შემიძლია დაგისაბუთოთ, რატომ ვფიქრობ, რომ საპარლამენტო მოდელი ჩვენი ქვეყნისთვის მაინცდამაინც სახარბიელოდ არ გამოიყურება.

საპარლამენტო მოდელში ხარვეზს ვხედავ არა იმდენად იურიდიული, რამდენადაც წმინდა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. კონსტიტუციაც კი, კანონიც კი არ არის მხოლოდ იურიდიული, სამართლებრივი აქტი. კანონი ქაღალდზე დაწერილი დარჩება, თუკი მას ხალხი, მისი მენტალიტეტი არ მიიღებს და უარყოფს. ჩვენ ვიცით საპარლამენტო რესპუბლიკები, სადაც წლების განმავლობაში ერთისა და იმავე გვარის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. ინდოეთის მაგალითი შეიძლება დავასახელო და ამას ხალხი აკეთებდა, სხვა არავინ. შეიძლება, ქაღალდზე დემოკრატიის ნორმები სრულად იყოს დაცული, მაგრამ საზოგადოება არ იყოს დემოკრატიული, ამიტომ პოლიტიკური კულტურა თამაშობს ამ დროს გადამწყვეტ როლს.

– თქვენ ამბობთ, რომ ჩვენთან პოლიტიკური კულტურა საპარლამენტო რესპუბლიკის ადეკვატური არ არის?

– ნაკლებად არის და გეტყვით, რატომ: ჩვენი საზოგადოება ერთი პარტიისკენ, ერთი ადამიანის არჩევისკენ არის ორიენტირებული და ის ნაკლებად ცნობს დანარჩენებს.

– ყველა პრეზიდენტი მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ავირჩიეთ.

– დიახ, ასევე – ყველა პარტია, რომლებიც შემდეგ მმართველ პარტიებად იქცნენ. თანაც ამას ემატება ის, რომ ამ ბოლო პერიოდში, პრაქტიკულად, პოლიტიკური სპექტრი არ არის. თითქოს პოლიტიკური პარტიები გაქრნენ. ვინც არიან, მათი პლატფორმები კი თითქმის ერთნაირია, მათი განმასხვავებელი მხოლოდ პოლიტიკოსის გვარია, რომელიც ხშირად არჩევნების წინ პარტიის დასახელებას უძღვის. ასეთი რამე, რაც ამ ბოლო დროს ხდება, საერთოდ არ მინახავს. ამიტომ მოსახლეობისთვისაც სულ ერთია, ვის მისცემს ხმას და აძლევს ერთ პარტიას.

– ან საერთოდ არ მიდის არჩევნებზე.

– დიახ. ამ დროს ნიჰილისტური განწყობები მოდის წინა პლანზე. რა არის ერთ– ერთი მთავარი საპარლამენტო მოდელში?! რა თქმა უნდა, მრავალპარტიულობა, ძლიერი და განსხვავებული პლატფორმის, იდეოლოგიის, შეხედულებების მქონე პარტიები. ჩვენთან ძლიერი პარტიები, უბრალოდ, არ არსებობენ. ამ პირობებში საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა ნიშნავს, რომ სულ იქნება მთელი ძალაუფლება ერთი პარტიის ხელში. დაახლოებით მოხდება ის, რაც ხდებოდა 70 წელი კომუნისტების პირობებში – ერთი პარტიის დიქტატი. საპარლამენტო რესპუბლიკის სპეციფიკა იმაშია, რომ ის აყალიბებს მთავრობას, შესაბამისად, ის ერთი პარტია ჩამოაყალიბებს მთავრობას, პარლამენტშიც იქნება გადამწყვეტი და ა.შ. ამიტომ ვამბობ, რომ საფრთხეები არის და ეს საფრთხეები რეალურია.

– თუმცა, საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეები ამბობენ, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკამ არ გაამართლა. არ ეთანხმებით?

– რაც შეეხება საპრეზიდენტო რესპუბლიკას, არ გვიცხოვრია. პრეზიდენტები ერქვათ იმ ადამიანებს, რომლებიც გვყავდნენ პრეზიდენტებად, მაგრამ ისინი არ იყვნენ გამართული საპრეზიდენტო მმართველობის პრეზიდენტები. მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია პრეზიდენტის ხელში ხვდებოდა. ამერიკულ მოდელს თუ გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ხალხი მთავრობის მეთაურად ირჩევს პრეზიდენტს და, ამავე დროს, ირჩევს პარლამენტს. პრინციპი არის დამოუკიდებლობა. პრეზიდენტი არ არის კონგრესთან შეზრდილი, პირიქით, დამოუკიდებელია.

ჩვენთან, როდესაც საპრეზიდენტო მმართველობა გვქონდა, ოდესმე იყო პრეზიდენტი თავისი პარტიისგან დამოუკიდებელი?! მეტიც, ის პარტიის ლიდერი იყო ხშირად. პარტიის კუთვნილებისგან დამოუკიდებელი მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა ვერცერთხელ ვერ მოგვეცა. ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ არ გვიცხოვრია საპრეზიდენტო რესპუბლიკაში. რაშიც ვიცხოვრეთ, ის არ იყო რეალურად საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ყველა ეს ხარვეზი უნდა აღმოფხვრილიყო, უნდა გასწორებულიყო კონსტიტუცია ისე, რომ ამგვარი ხარვეზების შესაძლებლობა არ დაეტოვებინა.

– თქვენ მხარს საპრეზიდენტო მოდელს უჭერთ?

– მე მომხრე ვიქნებოდი, ამერიკული მოდელის შესწორებები მოეხდინა კომისიას და ეს მოდელი ამოქმედებულიყო. ეს უფრო ახლოს არის ჩვენს მენტალიტეტთან და იმ რეალობასთან, რომელშიც ვცხოვრობთ. ახალი ვარიანტი, რომელიც შემოგვთავაზეს, არის ერთპარტიული სისტემისკენ სვლა. ვინც იქნება მმართველი პარტია, სწორედ მას ექნება მთელი ძალაუფლებაც. საკაშვილმა ტყუილად ხომ არ შემოიტანა საპარლამენტო მოდელი? რომ არა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი, ნაციონალურ მოძრაობას ვერავინ გააგდებინებდა ხელიდან ძალაუფლებას. ახლა დიდი შანსია, რომ „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო რესპუბლიკაში გაუხანგრძლივდეს არსებობა და მისი ალტერნატივა ნაკლებად გამოჩნდეს. დასავლეთში 10 წელი, შეიძლება, ერთი და იგივე პრემიერი ჰყავდეთ, მაგრამ იქ სისტემა აწყობილია, საპრეზიდენტო მმართველობაში კი პრეზიდენტი მხოლოდ ორი ვადით ირჩევა.

ეკა ბესელია: „იუსტიციის მინისტრობას არ ვაპირებ“

რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში

შორენა მარსაგიშვილი

მთავრობაში მოსალოდნელ ჯახესელზე უკვე დიდი ხანია საუბრობენ. გავრცელებული ინფორმაციით, მთავრობაში ცვლილებები აღდგომის შემდეგ განხორციელდება.

როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, მთავრობაში პრემიერის ჩათვლით ყველა შეიცვლება. ცვლილებები ვახტანგ გომელაურსა და ირაკლი შოთაძეს არ შეეხება მხოლოდ. სუს-ის უფროსიც და მთავარი პროკურორიც ამ თანამდებობებზე გარკვეული დროით არიან არჩეული.

გიორგი კვირიკაშვილის შესაძლო შემცვლელად უკვე რამდენიმე კანდიდატურა სახელდება. ერთ დროს ყველაზე აქტიურად პირველი ვიცეპრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის კანდიდატურა განიხილებოდა. ეს თემა იმდენად აქტუალური იყო, რომ გარკვეულმა ძალებმა მას ბიძინა ივანიშვილთან საქმე გაუფუჭეს და პრემიერობის შანსი მოუსპეს.

ამ თანამდებობაზე ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძეც მოიაზრებოდა. შემდეგ ის „ოცნებამ“ თბილისის მერობის კანდიდატად შეარჩია, თუმცა არც ეს საქმეა ბოლომდე გადაწყვეტილი.

პრემიერის პოსტზე ირაკლი რუხაძეც მოიაზრება. პატარკაციშვილების ოჯახთან დაახლოებული ბიზნესმენის გვარი ადრეც რამდენჯერმე ახსენეს. გაიჟღერა კახა კახიშვილის გვარიც, მაგრამ ამის შესაძლებლობა თავად სასჯელაღსრულების მინისტრმა გამორიცხა.

ახლა ამბობენ, რომ ის შესაძლოა შს მინისტრად ვიხილოთ. აღსანიშნავია, რომ კახიშვილი ერთადერთი მინისტრია, რომელიც საზოგადოებაში დადებით რეაქციას იწვევს. მის წინააღმდეგ ყველაზე აგრესიული ნაციონალებიც კი არ გამოდიან.

მის გარდა შს მინისტრის პოსტზე ანზორ ჩუბინიძის კანდიდატურაც განიხილება. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს ბიძინა ივანიშვილმა ადრეც შესთავაზა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავება, მაგრამ ჩუბინიძე ვერ დაითანხმა.

საპარლამენტო კულუარებში მოსალოდნელ ცვლილებებზე ბევრს საუბრობენ. თუმცა საჯაროდ ამ ინფორმაციას არავინ არ ადასტურებს. არადა აღმასრულებელ ხელისუფლებაში რამდენიმე დეპუტატს უპირებენ გადაყვანას.

იუსტიციის მინისტრის პოსტზე აქამდე პარლამენტის ვიცე-სპიკერის თამარ ჩუგოშვილის კანდიდატურა განიხილებოდა. ახლა ამ თანამდებობაზე ეკა ბესელიას გვარიც გაჟღერდა.

ამ ინფორმაციას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია არ ადასტურებს.

– იუსტიციის სამინისტროს ჰყავს ძალიან კარგი მინისტრი, მეც არ მგონია, ამ ძალიან მნიშვნელოვანი კომიტეტის ცუდი თავმჯდომარე ვიყო, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკა ბესელიამ.

მისივე თქმით, ამ თემაზე არათუ საუბარი, მინიშნებაც კი არ ყოფილა. სახელისუფლებო კულუარებში კი სულ სხვა რამეს ამტკიცებენ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ ბოკერია-უგულავას გუნდის გარდა არავის ცნობს“

ჯონდი ბაღათურია: „ოპოზიციამ საკონსტიტუციო კომისია უნდა დატოვოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" ჯითხვებს ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია პასუხობს

– ბატონო ჯონდი, თქვენ ადრეც საუბრობდით, რომ ოპოზიცია საკონსტიტუციო კომისიაში ბუტაფორიის როლს ასრულებს და მოუწოდებდით, დაეტოვებინათ კომისია. ეს პროცესი უკვე დაიწყო. პარლამენტის თავმჯდომარე ამ პროცესში პრეზიდენტს ადანაშაულებს, რომ მან პარტიების გადაბირება შეძლო. რას იტყვით თქვენ?

– დღეს პრეზიდენტს იმდენი გავლენა და ავტორიტეტი ნამდვილად არ აქვს, რომ პოლიტიკური პარტიების გადმობირება მოახერხოს. უბრალოდ, პოლიტიკური პარტიების რაღაცა ნაწილი, ცოტა გვიან, მაგრამ მიხვდა იმას, რასაც მე თავიდანვე ვამბობდი.

– რას, რომ არაფრის მომცემი იყო მათი ამ კომისიაში ყოფნა?

– რომ მათ დემოკრატიული დეკორაციის, ბუტაფორიის ფუნქცია მინაჩეს და ცდილობენ ამ პროცესისგან გამიჯვნას. ხელისუფლება ამ კომისიის შექმნით ცდილობდა, შეექმნა ერთგვარი, თითქოსდა პლურალისტური პროცესი, სადაც კონსტიტუციას თავის პოლიტიკურ ინტერესებზე დაჭრიდა და შეკერავდა. რა მთავარი ამოცანა აქვს დღეს ხელისუფლებას?!

– რა? მაინც რა არის მათი მიზანი?

– პირველი, რა მიზნითაც ეს კომისია შეიქმნა, ეს არის საპრეზიდენტო ინსტიტუტის არჩევითობის გაუქმება! ამ შემთხვევაში რამდენიმე კურდღლის დაჭერას ცდილობს ხელისუფლება. რაც მთავარია და რისკენაც მიისწრაფიან, არის ის, რომ ერთი არჩევნებით ხელისუფლება დააკომპლექტებს საპარლამენტო, აღმასრულებელ და საპრეზიდენტო ხელისუფლებას. ანუ ერთი არჩევნებით, ძალაუფლების სამ შტოს იგდებს ხელში ქართული ოცნება. აქედან ჩანს, რომ მას არა აქვს სურვილი, ბევრი არჩევნები ჩაატაროს და ბევრჯერ მოუწიოს ხალხის გულის მოგება და მათი დარწმუნება, რომ მათ დაუჭირონ მხარი. არის კიდევ მეორე მომენტიც...

დღეს ჩვენ გვაქვს ოთხწლიანი ციკლი არჩევნებსა და არჩევნებს შორის. ხოლო ამ ოთხ წელიწადში სამი არჩევნებია: ადგილობრივი თვითმმართველობის, საპარლამენტო და ერთიც – საპრეზიდენტო. თითქმის ყოველ წელიწადში ერთი არჩევნები უწევს, რაც ძალიან კარგია ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის და არაკომფორტულია ნებისმიერი ტიპის მმართველი ძალისთვის, რომელსაც სურვილი აქვს, რომ წინასაარჩევნო დაპირებები არ შეასრულოს და ისე მართოს ქვეყანა. თუ საპრეზიდენტო არჩევნებს ამოვაგდებთ, არჩევნებსა და არჩევნებს შორის ვადა გაიზრდება და, შესაბამისად, ხელისუფლებას უფრო მეტი დრო ექნება, რომ თავის პირად ინტერესებზე იზრუნოს! ანუ ხელისუფლებას უფრო ნაკლებად დასჭირდება ხალხის გულის მოგება.

– როგორც ყველა ხელისუფლება, ესენიც ცდილობენ, კონსტიტუცია საკუთარ თავზე მოირგონ?

– ნამდვილად ასეა. მეორე მთავარი მომენტი ამ პროცესში, ხელისუფლებას უნდა, რომ კონსტიტუციაში ჩაწეროს ასეთი რამ, რომ არჩევნებში გადაუნაწილებელი მანდატები, გადაულახავი პროცენტები გადაინაწილოს მთლიანად თვითონ და აი ამის პირდაპირ ამ სახით ჩაწერა უნდა კონსტიტუციაში. ეს რამდენად სამართლიანია, მითხრას ვინმემ?! რატომ ეკუთვნის ხელისუფლებას ის პროცენტები, რომელიც სხვა პარტიებმა აიღეს?! ესეც არის სურვილი, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ უკანონოდ და სრულიად უსამართლოდ. ამ პროცესში დანარჩენი საკითხები არის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ხელისუფლებისთვის.

– არ იზიარებთ ამ ცვლილებებს?

– ის, რომ კონსტიტუციას ცვლილება სჭირდება, მე ამას ვიზიარებ, მაგრამ არა იმ მიმართულებით, რომ გავაუქმოთ საპრეზიდენტო არჩევნები და ერთ არჩევნებში მერე პარლამენტმა დანიშნოს პრეზიდენტი. დანიშნული პრეზიდენტი ვერანაირი არბიტრი ვერ იქნება! დანიშნული პრეზიდენტი ვერანაირ ვეტოს უფლებას ვერ გამოიყენებს. დანიშნული პრეზიდენტი, ვერანაირი ურთიერთობის დამლაგებელი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ძალაუფლებებს შორის ვერ იქნება!

– ოცნების მიზანია, რომ მისგან მართული პრეზიდენტი ჰყავდეს?

– კი, ეს მიზანია, მაგრამ მას შეუძლია მართული და მისი თანაგუნდელი პრეზიდენტი ჰყავდეს პირდაპირი არჩევნების გზით, რაც სავსებით კანონიერი იქნებოდა. ახლა ხელისუფლებას უნდა, რომ პარლამენტმა დანიშნოს და შემდეგ, როცა უნდა მოხსნას და გაათავისუფლოს! ეს აბსოლუტურად არარაციონალური, აუხსნელი, დაუსაბუთებელი მოთხოვნაა ხელისუფლების მხრიდან!

– მარგველაშვილი ხომ მათი თანაგუნდელი იყო, მაგრამ ვნახეთ, როგორ განუდგა და ოპოზიციაში ჩაუდგა. ამისგანაც იზღვევენ თავს, როდესაც პირდაპირი არჩევის წესს აუქმებენ?

– საქმე აქეთკენ მიდის, უნდათ, რომ თავის დასმული პრეზიდენტი ჰყავდეთ. მარგველაშვილი ნამდვილად ივანიშვილის ხათრით არჩეული იყო, მაგრამ რადგან ის არჩეული იყო, როცა მასზე კონტროლი დაიკარგა, ის ვეღარ გადააყენეს. სწორედ ეს უნდათ, რომ კონტროლირებადი პრეზიდენტი ჰყავდეთ!

– ბერკეტი ჰქონდეთ მისი გადაყენების?

– რა თქმა უნდა, პარლამენტის დანიშნულს პარლამენტივე გადააყენებს! აი, საით მიისწრაფის, გასაგებია?! ოპოზიციას კი ამ პროცესში თავიდანვე დემოკრატიული ბუტაფორიის როლი ჰქონდა. კვოტები ისე გადანაწილდა, რომ ოპოზიციას, გარდა აზრის გამოთქმისა, სხვა ინსტრუმენტი არა აქვს. მაშინ რა აზრი ჰქონდა ამ კომისიის შექმნას?! კომისია იქნება იმისთვის, რომ მაღალი პლურალისტური გარემო შეიქმნას და მაღალი კონსენსუსი იყოს. თუ კომისიაში უმრავლესობა ისევ ქართული ოცნება იქნება, ასეთ უმრავლესობა მათ პარლამენტშიც აქვთ და მაშინ პარლამენტში წარმართულიყო ეს პროცესი. აზრი კომისიის შექმნის იყო ის, რომ ყოფილიყო თანაბარი გარემო და მაქსიმალურად შეთანხმებული კონსტიტუციის პროექტი დადებულიყო. მე საერთოდ არ ვიცნობ ამ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც კომისია დატოვა, მაგრამ ფაქტია, სხვაზე მეტი გონიერება და ოპერატიულობა გამოიჩინა.

– ანუ, თქვენ იზიარებთ იმ პოზიციას, რომ ოპოზიციამ უნდა დატოვოს საკონსტიტუციო კომისია?

– როდესაც ეს კომისია შეიქმნა, მე თავიდანვე განვაცხადე, რომ ოპოზიციას უარი უნდა ეთქვა ამ კომისიის წევრობაზე. მოგვიანებით სწორედ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადე, რომ უნდა დაეტოვებინათ კომისია და ხელისუფლება დაეტოვებინათ მარტო! ოცნება ცდილობს, რომ კონსტიტუცია თავის ინტერესებს მოარგოს. ყველა ვხედავთ ამას. რაც მათ სჭირდებათ, სწორედ ისეთი პროექტის შექმნას და გატანას ცდილობენ. მერე ევროპაში რომ იტრაბახონ, დემოკრატიული პროცესი იყო, მრავალი პარტია მონაწილეობდაო, ამის საშუალება რატომ უნდა მისცე ხელისუფლებას?! რა თქმა უნდა, ამაში მონაწილეობას არ უნდა ღებულობდეს ოპოზიცია!

– უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ ოპოზიციური სპექტრი მთლიანად დატოვებს კომისიას...

– მე არა მგონია, ყველამ დატოვოს. მათ ჰყავთ თავისი სატელიტი პარტიები და რაღაცა რაოდენობა მაინც დარჩება. ბოკერია, გირჩი და ასე შემდეგ, ეს ამ ხელისუფლების პარტიებია. დარწმუნებული ვარ, ძალიან მწვავე და რადიკალურები იქნებიან, მაგრამ მაინც დარჩებიან. მე მაინც არა მგონია, რომ საკონსტიტუციო კომისია ასე დაიშალოს. რაც შეეხება პრეზიდენტის მონაწილეობას, არ ვიცი, რამდენად ცდილობდა პრეზიდენტი პარტიების გადაბირებას, ამას ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ მთავარი შეცდომა, რასაც ხელისუფლება უშვებს, არის ის, რომ ისინი პარტიებს არ ელაპარაკებიან.

პარლამენტის თავმჯდომარეს ვურჩევდი, რომ ნუ აწარმოებენ კარჩაკეტილ პროცესს. თვითიზოლაციის გზას დაადგნენ. ერთადერთ სალაპარაკო პარტნიორად აირჩიეს ნაცმოძრაობა და მათივე სატელიტი ბოკერია-უგულავას გუნდი და სხვას არავის ცნობენ! ასევე გირჩი. შედეგი კი ასეთი იქნება ყოველთვის.

– ბოკერია-უგულავას ფრთა ოცნების სატელიტია? თქვენ ასე თვლით?

– რა თქმა უნდა. ეს ისედაც ყველამ იცის. მაგალითად, პოლიტიკური პარტია გირჩი, ასრულებს ხელისუფლების ერთი ნაწილის დაკვეთას და ტესტავს საზოგადოებრივ აზრს, რამდენად დაეთანხმება საზოგადოება, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია, მისი დათესვა და მოყვანა მოხდეს. ვიღაცას აქვს თავში აზრად, რომ ნარკოტიკების ვაჭრობით ხელი მოითბოს! სწორედ ამ მიზნით ალაპარაკებენ გირჩს!

– რატომ ფიქრობთ, რომ მაინცდამაინც ხელისუფლება ალაპარაკებს? იქნებ მათი იდეაა?

– გირჩი რომ ხელისუფლების სატელიტია, ეს ყველამ იცის! ამ პარტიის წარმომადგენლები გამოვიდნენ და 84 ქოთანი ნარკოტიკი დათესა, რაც ძალიან მძიმე დანაშაულია, თითქმის უვადო პატიმრობამდე მიდის და საგამოძიებო მოქმედებებიც კი არ ჩაუტარებიათ მათ წინააღმდეგ.

– ანუ ხელისუფლების ინტერესები გაატარეს ამით თუ საით მიანიშნებთ?

– თქვენ სხვანაირად ფიქრობთ?! სისხლის სამართლის დანაშაული ჩადინეს პირდაპირ ეთერში! 7 წლიდან იწყება სასჯელი ასეთი დანაშაულისთვის! არავინ დაუჭერიათ და რატომ?! გირჩის კი არ ეშინიათ?! უბრალოდ, ეს მათ ინტერესში შედის და იმიტომ. ვიღაცა საწყალს რომ დაიჭერენ ქუჩაში და ერთი გრამიც რომ უპოვონ, ხომ ვხედავთ, რამდენს უსჯიან და მათი ქმედებით საერთოდ არავინ დაინტერესებულა. ხელისუფლებაში არსებობს ერთი ჯგუფი, რომელიც ცდილობს ნარკობიზნესით გამდიდრებას. საზოგადოებრივი აზრის დატესტვას კი ახორციელებინებს ამ პარტიას, რომელსაც პირდაპირ ეთერში ათესინებენ 84 ქოთან მარიხუანას.

ვიღაცამ ამ ბიზნესით დიდი ფულის შოვნა გადაწყვიტა. ეს პროცესი კი ჩვენს ქვეყანას, მის მოსახლეობას მთლიანად გაანადგურებს. განა არ გიკვირთ, ამ მთავრობის ნარკოტიკს ტელეშოუებს რომ უძღვნიან?! სიგარეტის მოწევას კრძალავენ, სკოლებთან ახლოს არ ყიდიან და ნარკოტიკები როგორ უნდა დათესო და მოიყვანო, ამაზე ტელეგადაცემს ვუყურებთ! დავიჯერო, სიგარეტი უფრო მავნებელია, ვიდრე ნარკოტიკი?!

შორენა მარსაგიშვილი

ხმაური თბილისის საკრებულოში

დავით ნარმანია გარემოვაჭრეებს გაექცა

გუშინ, 11 აპრილს, დიდი დღე იყო — დავით ნარმანია დედაქალაქის საკრებულოში ანგარიშის ჩასაბარებლად გამოცხადდა. თბილისის მერს საკრებულოშიც და მის კედლებს მიღმაც ოპონენტები მრავლად ელოდნენ.

გარემოვაჭრეებმა ჯერ კიდევ წინა კვირაში დააანონსეს, რომ 11 აპრილს თბილისის მერს სირცხვილის დერეფანში გაატარებდნენ. მერის დასახვედრად ისინი საკრებულოსთან დილადანვე მივიდნენ.

მერი და მისი გარემოცვა მიხვდა, რომ სამარცხვინო დერეფანს ვერ ასცდებოდნენ და ამიტომაც საკრებულოში გამოსვლა რამდენიმე საათით გვიან გაბედეს.

გარემოვაჭრეებმა, მართალია, ნარმანიას სათქმელი პირში ვერ მიახალეს, მაგრამ აქციით მაინც კმაყოფილნი დარჩნენ.

– ჩვენმა აქციამ შედეგი გამოიღო. ჩვენ დედაქალაქის მერი სიმბოლურად გავატარეთ სირცხვილის დერეფანში. მან დათქმულ დროს საკრებულოში მოსვლა ვერ გაბედა. ის გაგვექცა და ეს გამარჯვებაა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ამ აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

მისი თქმით, გარემოვაჭრეები ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდებიან და აქციებს მომავალშიც გააგრძელებენ. შემდეგი აქცია 20 აპრილს სახელმწიფო კანცელარიასთან არის დაგეგმილი.

– 20 აპრილს უკვე მთავრობის მეთაურისგან მოვითხოვთ ამ საკითხის მოგვარებას. ყველას გვესმის, რომ ამის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას, მაგრამ პასუხს კვირიკაშვილისგანაც მოვითხოვთ, – აღნიშნა ჩხარტიშვილმა.

დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის თქმით, ნარმანიამ და ივანიშვილმა აღდგომის წინ ადამიანებს ლუკმაპური წაართვეს. ჩხარტიშვილი ამბობს, რომ გარემოვაჭრეების შემდეგ უკვე ტაქსის მძღოლებს დაერევიან.

– კიდევ ერთხელ ვამბობ, გარევაჭრობის აკრძალვა არ ხდება ქალაქში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. გარევაჭრობის აკრძალვის შემდეგ ტაქსებსაც დაერევიან. ამის გაკეთება თავის დროზე მიხეილ სააკაშვილსაც უნდოდა. მოგვიანებით უკვე ბაზრებსა და ბაზრობებსაც დაერევიან. თბილისი რამდენიმე მსხვილი სავაჭრო ქსელის ტყვეობაში აღმოვჩნდებით, – აცხადებს დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

მისივე თქმით, გარემოვაჭრეებ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ჟალბატონი ფიქრია

2017, 12 აპრილი, №86

რა კომპრომატები აქვს საქართველოს ხელისუფლებაზე პუტინს

შორენა მარსაგიშვილი

რატომ არ რეაგირებს რუსეთის პროვოკაციებზე ოფიციალური თბილისი, როგორ დაალაგა მოსკოვმა სოხუმსა და ცხინვალში კარტები, რა კომპრომატებს ფლობს რუსეთის ხელისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

ზაალ კასრელიშვილი: „როგორც კი სამაჩაბლოსთვის სახელის შეცვლაზე დაიწყო საუბარი, ჩვენ ჩეჩნეთის, ჩერქეზეთისა და თათრეთის დამოუკიდებლობა უნდა გვეღიარებინა“

– ცხინვალის საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინი თიბილოვის გვარის კაცს უჭერდა მხარს. მოსახლეობამ დიდი უპირატესობით გვარად ბიბილოვი აირჩია. თქვენი აზრით, რა მოხდა, ოსებს ერთი ასო შეეშალათ, პუტინის წინააღმდეგ წავიდნენ თუ რაიმე სხვა ამბავია?

– განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ მოიგო არჩევნები ცხინვალში. გამარჯვებულმა კანდიდატმა წინასაარჩევნო კამპანია წარმართა კორუფციასთან ბრძოლისა და აღმშენებლობის ლოზუნგით. რაც მისი ინიციატივა არ იყო. კრემლში არის ძალა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზეც ახორციელებს მსგავს ცვლილებებს – გუბერნატორად ნიშნავენ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც კორუფციასთან ბრძოლის პირობას იძლევიან.

რუსეთის ფედერაციაში კორუფციის წინააღმდეგ გამოცხადებულია ბრძოლა და ეტყობა ამ ჯგუფის ინტერესებში მოჰყვა ბიბილოვიც. თიბილოვს რაც შეეხება, მისთვის ხელი არავის შეუშლია.

– ხელი არ შეუშალეს, მაგრამ არც შეუწყვეს.

– როგორც ჩანს, კრემლს სურდა, ცხინვალის რეგიონში ხალხის რეალური განწყობა გაეგო. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ხელი თიბილოვს ჩამოართვეს, მაგრამ ფსონი გამარჯვებულზე ჰქონდათ დადებული. მოსკოვისთვის ასეთი რამეები უცხო არ არის.

მთლიანობაში რაც ცხინვალში მოხდა, აფხაზეთში დაწყებულის გაგრძელებაა. აქაურ პარლამენტში ვერც ერთმა ძალამ ვერ მოიპოვა მნიშვნელოვანი წარმატება. აქ ადგილები ისე გადანაწილდა, რომ პარლამენტის გაკონტროლებას და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას ვერავინ შეძლებს. იგივე ვითარება შეიქმნა ცხინვალშიც.

ერთგანაც და მეორეგანაც კონკრეტული დაჯგუფება სხვასთან გარიგების გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. სხვა ძალებთან გარიგება კი მხოლოდ კრემლის მეშვეობით მოხდება. კრემლმა კიდევ უფრო მეტი ბერკეტები აიღო ხელში ამ რეგიონების გასაკონტროლებლად, რაც პირდაპირ უკავშირდება ზაფხულში დაგეგმილ პუტინ-ტრამპის შეხვედრას.

პუტინი დამატებითი ბერკეტებით ცდილობს მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდეს. ის შეეცდება აშშ-ის პრეზიდენტის დარწმუნებას, რომ კავკასიაში კონფლიქტების გასაღები მის ხელშია.

– ეს ხომ ისედაც ყველამ იცის, მეტი რა ბერკეტი სჭირდებოდა ამისთვის?

– მან გაცილებით ნოყიერი ნიადაგი მოიმზადა.

– რისთვის მოიმზადა ნიადაგი?

– თუ შეერთებული შტატები და დასავლეთი პუტინთან მისთვის სასურველ დათმობებზე წავა, მაშინ აფხაზეთსა და ცხინვალში ძალიან იოლად მოგვარდება პრობლემა. კრემლი ძალიან მარტივად აიძულებს ოსებს და აფხაზებს ქართველებთან დიალოგის დაწყებას.

– და თუ არ იქნა ისეთი დათმობები, როგორიც პუტინს უნდა, მაშინ რა ხდება?

– თუ სასურველი შედეგი ვერ მიიღო, მაშინ ამ ბერკეტებს აიღებს ხელში და კიდევ უფრო მკაცრად გააკონტროლებს ოკუპირებულ რეგიონებს.

– უფრო მეტად როგორ, მიიერთებს?

– სიამოვნებით მიიერთებდა, მაგრამ ამაზე ახლა თავს შეიკავებს. საყოველთაო საერთაშორისო რისხვისა და სანქციების შემდეგ, ამ რეგიონების მიერთება მეტისმეტი იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

– საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა იყო ყირიმის მიერთებაც, მაგრამ მიიერთა.

– ყირიმი მიიერთა და სანქციებიც მიიღო. აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიერთების შემთხვევაში ეს სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდება. მე ამის იურიდიულ გაფორმებაზე ვსაუბრობ, თორემ ეს რეგიონები რუსეთს კარგა ხანია რაც ფაქტიურად მიერთებული აქვს.

– 9 აპრილს ცხინვალში ჩატარდა რეფერენდუმიც, რომლის შედეგების მიხედვით, ისტორიულ სამაჩაბლოს, რომელსაც ჯერ სტალინმა დაარქვა სამხრეთ ოსეთი, ალანია ეწოდა. ამაზე საქართველოს ხელისუფლებას რეაქციაც კი არ ჰქონია. გასაგებია, რომ რუსეთს ხელს ვერ შეუშლიდნენ, მაგრამ პროტესტის გამოხატვა მაინც ხომ შეიძლებოდა?

– ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ჩვენს ხელისუფლებას რუსეთისთვის ხელის შეშლა არ შეეძლო. როგორც კი მათ სამაჩაბლოსთვის სახელის შეცვლაზე დაიწყეს საუბარი, საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩნეთის, ჩერქეზეთის და თათრეთის დამოუკიდებლობის ასაღიარებლად უნდა მოემზადებინა საბუთები.

– ეს ვითარებას შეცვლიდა?

– როგორც კი საქართველოს ხელისუფლება ამ ნაბიჯს გადადგამს, რუსეთში შიდა პროცესები აჯაფსანდალივით აირევა. ამას მოჰყვება სხვა რეაქციები. ნურავის დაავიწყდება, რომ დამოუკიდებელი თათრეთის მთავრობა ჯერ კიდევ არსებობს და მუშაობს.

– სად მუშაობს დამოუკიდებელი თათრეთის მთავრობა?

– ერთ-ერთ დიდ, დასავლურ ქვეყანაში. მათთვის სპეციალურად შენობაც კი არის გამოყოფილი. მე არ ვამბობ იმას, რომ ამ აღიარებით ფაქტობრივად რაიმე შეიცვლება, მაგრამ დასავლეთი ამაზე დიდ ყურადღებას გაამახვილებს და, შესაძლოა, ამ მიმართულებით დაიწყონ მოძრაობა. ასეთ შემთხვევაში რუსეთის სახელმწიფოებრიობას ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება.

– ბატონო ზაალ, თქვენ გჯერათ, რომ საქართველოს ხელისუფლება ჩეჩნეთის ან თათრეთის დამოუკიდებლობის აღიარებას გაბედავს? მათ ისტორიული სამაჩაბლოსთვის სახელის გადარქმევაც კი არ გააპროტესტეს.

– სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ამას არ გააკეთებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მათ წარმოდგენა არ აქვთ, რა არის რეგიონალურ-კავკასიური პოლიტიკა. იმდენსაც ვერ ხვდე-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზე მორიგი შეტევა, სავარაუდოდ, 16 აპრილისთვის დაიწყება.

– ვარკეთილისა და გლდანის ტერიტორიაზე მყოფ გარემოვაჭრეებს ვადა 16 აპრილამდე მისცეს. ხალხს იმის საშუალებასაც კი არ აძლევენ,

რომ აღდგომას ადამიანურად შეხვდნენ. ეს არის ბრძოლა არსებობისთვის და ადამიანები ბოლომდე იბრძოლებენ. ნარმანია სულ ვერ დაგვემალება, – აღნიშნავს ჩხარტიშვილი.

* * *

გარემოვაჭრეების რისხვას გადარჩენილ მერს საკრებულოში ოპოზიციამ შეუტია, თუმცა ბევრი ვერაფერი დააკლეს. იქ მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. ოპოზიციის თქმითვე, „ქართულმა ოცნებამ“ ნარმანია სპეციალურად მიწვეული ტაშის დამკვრელებითაც გაამხნევა.

„ქართული ოცნების“ განმარტებით, ტაშის დამკვრელების მობილიზება ოპოზიციამაც მოახდინა და ისინი ოპოზიციონერ დეპუტატებს უკრავდნენ ტაშს.

ტაში და ოვაციები საკრებულოს იარუსებიდან პირველად მაშინ გაისმა, როცა ნარმანიამ თავისი ანგარიშის წარდგენა დაიწყო. მერს გამოსვლა ოვაციებით რამდენჯერმე შეაწყვეტინეს.

ხმაური თბილისის საკრებულოში

ტაში და ოვაციები ოპოზიციისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

– ტაშის დამკვრელების კარგი მობილიზება გააკეთეთ, – ასე მიმართა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრმა მარიკა დათუკიშვილმა დედაქალაქის მერ დავით ნარმანიას.

დათუკიშვილმა ეს განცხადება კითხვის დასასმელად გამოყოფილ დროში გააკეთა. ამის გამო მას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტყემალაძემ მიკროფონი გამოურთო.

ამას დათუკიშვილის მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვა და მას მიკროფონი ისევ ჩაურთეს. მან კითხვა რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლე ნატა ნაზღაიძის გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით დასვა.

კერძოდ, ის დაინტერესდა, 2016 წლის 29 ნოემბრამდე მიწა, რომელიც საქართველოს ბანკის კუთვნილებას წარმოადგენდა, რატომ იყო მოქალაქე ჩოხელის საკუთრებაში და რატომ მიიღო მან ამისთვის კომპენსაცია.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ოპოზიცია უკვე რამდენიმე თვეა ითხოვს. ნარმანია ამ კითხვას მომზადებული შეხვდა.

– თანხა ჩაირიცხა ჩოხელის ანგარიშზე და, თუ დათუკიშვილს რაიმე განმარტებები გააჩნია, მას შეუძლია, სამართალდამცავებს მიმართოს, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

ამ თემაზე ნარმანიას აღარ უსაუბრია. მეოცნებეებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მერს თავი უხერხულად არ ეგრძნო.

ოპოზიცია არ დანებდა და კიდევ ცადა კითხვების დასმა. ამას ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ტყემალაძე შეეცადა, ოპოზიცია ნამუსზე შეეგდო.

– ძალიან მიკვირს და თბილისის მერიც, ალბათ, გაკვირვებულია. რამდენი ხანია, დავით ნარმანიას ანგარიშს ითხოვთ და მხოლოდ ნაზღაიძის თემასთან დაკავშირებით დასვით შეკითხვა. ეს ნამდვილად გაუგებარია ჩემთვისაც და ჩემი კოლეგებისთვისაც, – განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

* * *

ნაციონალები უპასუხოდ არც დავით ნარმანიამ დატოვა. მისი თქმით, ნაცმოძრაობა მიზანმიმართულად ავრცელებს ცრუ ინფორმაციას, რითიც მერიის საქმიანობის დისკრედიტაციას ცდილობს.

როგორც ინტერპრესნიუსს დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, თბილისის მერმა გაიხსენა გავრცელებული ცნობა, თითქოსდა, მისი სარეზერვო ფონდიდან თანხა სოციალურად დაუცველ სტუდენტს გადაურიცხა, რომელიც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული არ ყოფილა.

– განვმარტავ, რომ 2015 წლის 25 დეკემბერს თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს მიმართა მოქალაქე დეა გოლიაძემ სწავლის დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე. წერილში ნათქვამი იყო, რომ ოჯახი იმყოფებოდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში, რასაც თავადვე ადასტურებდა ფაქტებით. გარდა ამისა, განცხადებას თან ერთვოდა ცნობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან 6.000 ლარის დავალიანების თაობაზე.

გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტი სოციალურად დაუცველი არ იყო და მისთვის თანხის გამოყოფა სცდებოდა განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კომპეტენციასა და უფლებამოსილებას, სამსახურმა გაგზავნა შუამდგომლობის წერილი თბილისის მერთან სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თხოვნის თაობაზე. წერილში ნათლად ჩანს, რომ თანხის გამოყოფა უნდა განხორციელებულიყო არა როგორც სოციალურად დაუცველი სტუდენტისთვის, არამედ, როგორც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახისათვის, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

დავით ნარმანიამ ოპონენტებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, მიზანმიმართულად, ცრუ ინფორმაციების გავრცელებისაგან თავი შეიკავონ. მისი თქმით, ტრაგიკული ისტორიებით მანიპულირება პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით ზნეობის ყოველგვარ ნორმას სცილდება.

– ასევე უსაფუძვლო იყო სპეციალურად შექმნილი აჟიოტაჟი მიკროავტობუსით მგზავრობის ტარიფთან დაკავშირებით. ძირითადი ტარიფი, 0.80 ლარი, შენარჩუნებულია, ხოლო მოკლე მანძილზე მგზავრობის საფასური გაუთანაბრდა მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ტარიფს: 0.40 ლარი გაიზარდა 0.10 ლარით და 2017 წლის 8 მარტიდან გახდა 0.50 ლარი, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ვახტანგ მაისაია: „რუსეთსა და ამერიკას შორის უშუალო დაპირისპირებაა მოსალოდნელი“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალ თაობასთან“ სირიასთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას აანალიზებს.

– ბატონო ვახტანგ, სირიაში აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს რუსეთისა და ამერიკის ინტერესები. ასადმა ქიმიური იარაღი გამოიყენა, ამერიკამ კი დაბომბა. ტრამპის განცხადებების ფონზე ეს ცოტა გასაკვირიც იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამერიკული სახელმწიფო მანქანა კარგად მუშაობს. როგორ ფიქრობთ, სადამდე წავა ეს დაპირისპირება?

– რთულია საუბარი, სადამდე წავა დაპირისპირება, მაგრამ ფაქტია, რომ ახლო აღმოსავლეთი ახალი ცივი ომის არეალად გადაიქცა. ადრე თუ ახალი ცივი ომის ძირითადი ცენტრები ბალტიის ზღვის აკვატორია და შავი ზღვის აკვატორია იყო, ახლა ნატოსა და რუსეთს შორის დაპირისპირების არეალი ახლო აღმოსავლეთში გადმოვიდა. დაპირისპირება აშკარაა.

– რა შეიძლება გამოიწვიოს ამ დაპირისპირებამ?

– ძნელი სათქმელია. ორივე მხარე გადავიდა სამხედრო დაპირისპირების ფაზაზე. კონკრეტული ფორმულაა ომის წარმოების ფაზები გროსსტრატეგიის დონეზე. ამ ფორმულის მიხედვით, მხარეები გადავიდნენ ბოლოს წინა ფაზაზე, კუნთების დემონსტრირებისა და მუქარების დონეზე. თუმცა, ამერიკის მუქარები პირდაპირ არ იყო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული.

– ასადის პოზიციების დაბომბვა რუსეთის მუქარად არ აღიქმება?

– პირდაპირ არა, მაგრამ ამერიკული მხარე დაინტერესდა, რუსეთს რა წვლილი ჰქონდა სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებაში.

– მიუხედავად ასადის ბოლოდროინდელი დანაშაულისა, რომელიც ჩაიდინა მან ქიმიური იარაღის გამოყენებით, ლავროვმა განაცხადა, რომ ისინი აუცილებლად იბრძოლებენ ასადის შესანარჩუნებლად.

– ორი აზრი არ არსებობს, რომ რუსეთი ასადს არ მიატოვებს. რუსეთმა გადაწყვეტილება მიიღო, მთლიანად დაფაროს სირიის საჰაერო სივრცე. ამ ეტაპზე რუსეთს ჰქონდა დაფარული ხმეინისა და ტარტუსის სამხედრო ბაზებით.

– ბოლო დროს ამერიკა არავითარ ქმედებებს აღარ ახორციელებდა ახლო აღმოსავლეთში. ასადმა რატომ გამოიყენა ქიმიური იარაღი? რაში სჭირდებოდა მას ქიმიური იარაღის გამოყენება?

– ასადს სურს რამდენიმე მიზნის მიღწევა. მას ჰქონდა გარკვეული მიზანი. ჯერ კიდევ ბაშარ ასადის მამამ ქიმიური იარაღი ორჯერ გამოიყენა – 1976 და 1982 წლებში, როდესაც იყო აჯანყება, გამოსვლა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მუსლიმანი ძმების ეგიდით. შესაბამისად, აჯანყება ჩაახშო. ასადის რეჟიმის მთავარი მიზანი იყო, როგორმე სწრაფად დაემთავრებინა, ჯიჰადისტებისა და მისი მოწინააღმდეგეებისაგან გაეთავისუფლებინა იდლიბის პროვინცია, რომელიც ხომსის პროვინციისა და ალეპოს დაკავების შემდეგ დაპირისპირების მეორე მთავარი ცენტრია.

ამდენად, ასადის რეჟიმი გადავიდა იდლიბის პროვინციაში. ასადის რეჟიმის მთავარი იდეა იყო ქიმიური შეტევის განხორციელებით თავისი მოწინააღმდეგეები ფსიქოლოგიურად და მორალურად დაეშინებინა, შესაბამისად, გაენადგურებინა ისინი იმავენაირად, როგორც ეს მოხდა ხომსისა და ალეპოს მიდამოებში. ამ შემთხვევაში მეორე პროვინციის დაკავებაზეა საუბარი. ბაშარ ასადმა ქიმიური იარაღის გამოყენებითა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულით, ფაქტობრივად, საერთაშორისო საზოგადოება გამოიწვია, აღნიშნული ქმედებით ერთგვარი დაუმორჩილებლობა გამოავლინა. რადგან რუსეთი და ირანი მის გვერდით არიან, ასადის რეჟიმს ეგონა, გააკეთებდა იმას, რაც მოესურვებოდა.

– ქიმიური იარაღის გარეშე იდლიბის პროვინციას ვერ დაიკავებდა?

– ქიმიური იარაღის გარეშე მეორე პროვინციის დაკავება ცოტა რთული იქნებოდა. პროცესი გაიწელებოდა. შესაბამისად, ამ პროცესის გაწელვა არ აწყობდა არც ბაშარ ასადს, არც – კრემლს. შესაბამისად, ქიმიური იარაღის გამოყენებაში რუსეთის ინტერესებიც იყო. უნდოდათ, ფსიქოლოგიური ზეწოლით მოწინააღმდეგეები გაეტეხათ, რაც მოახდინეს ალეპოს აღების დროს.

– რეალურად, დაიკავეს ტერიტორია ან ამ შემთხვევაში მიზანს მიაღწიეს?

– ქიმიური იარაღის გამოყენება, რა თქმა უნდა, იწვევს პანიკის დათესვას მოწინააღმდეგეებში და დემორალიზაციას. ასადის რეჟიმის მიზანი იყო, სიტუაცია საბოლოო კაპიტულაციამდე მიეყვანათ. ქიმიური იარაღის გამოყენების საპასუხოდ ამერიკელებმა განახორციელეს დარტყმა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ – ხომსის რაიონში სამხედრო-საჰაერო ბაზა დაბომბეს. როგორც ჩანს, ქიმიური იარაღის მარაგები ასადის რეჟიმს შემონახული ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს რუსეთმა და ამერიკამ მიაღწიეს შეთანხმებას, სირიიდან ქიმიური იარაღი გაიტანეს და გაანადგურეს.

– შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქიმიური იარაღი ასადს რუსეთმა მიაწოდა?

– ასადისთვის რუსეთს ქიმიური იარაღის მიწოდება არ დასჭირდებოდა. მას ჰქონდა ქიმიური იარაღის დიდი მარაგი.

– ამერიკამ რამდენად ძლიერი დარტყმა განახორციელა?

– ამერიკელების დარტყმა მოუმზადებელი იყო. გასროლილი ფრთოსანი რაკეტები დაიკარგა, სამიზნემდე ვერ მიაღწიეს.

– ამერიკელების მოუმზადებლობა რით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული?

– ამერიკელები არ აპირებდნენ ასადის წინააღმდეგ ბრძოლას. საერთო მიზანი იყო ისლამური სახელმწიფოს განადგურება, ქიმიური იარაღის გამოყენებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება. დაპირისპირების შედეგად რუსეთი და ამერიკა გადავიდნენ ახალი ცივი ომის რეჟიმში.

– ასადის რეჟიმის ქმედებების შედეგად მომხდარი დაპირისპირებით ისლამური სახელმწიფო გაძლიერდა?

– რა თქმა უნდა, გაძლიერდა და გადავიდა კონტრშეტევაზე – ტერაქტები განახორციელა ასტრახანში, სანკტ-პეტერბურგში, ეგვიპტეში და სხვაგან. ფაქტობრივად, ისინი კიდევ უფრო გააქტიურდნენ რუსეთისა და ევროპის მიმართულებით.

– როგორ ფიქრობთ, ასადის ქმედება რუსეთთან იყო შეთანხმებული?

– შეთანხმებული იყო, რა თქმა უნდა. არ არის გამორიცხული, სირიაში ქიმიური იარაღი რუსებმა გამოიყენეს და ასადის რეჟიმმა თავის თავზე აიღო. რუსებსა და ბაშარ ასადს უნდათ სირიაში ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა და მოქმედების გეგმის შემუშავება.

– რუსეთს არ ესმოდა, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების გამო ასადის რეჟიმი შესუსტდებოდა? მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება, რუსეთს სჭირდებოდა და შეგნებულად გამოიყენეს ქიმიური იარაღი, რომ შექმნილ ვითარებაში საფუძველი მისცემოდათ თავიანთი სამხედრო ძალების ახლო აღმოსავლეთში მობილიზებისა და ახალი სტრატეგიის შემუშავებისა?

– ამერიკის რეაქციით რუსული მხარე დაბნეულია. ასეთ რეაქციას არავინ მოელოდა. თუმცა, ამერიკელების დარტყმაც საკმაოდ მოუმზადებელი იყო. დარტყმა განხორციელდა უფრო ფსიქოლოგიური ფაქტორიდან გამომდინარე, ვიდრე სამხედრო ტექნიკური ძლიერების საჩვენებლად.

– რუსეთისა და ამერიკის უშუალო დაპირისპირება მოსალოდნელია?

– რუსეთ-ამერიკის უშუალო დაპირისპირება მოსალოდნელია, თუმცა, იმედია, მხარეები აქამდე საქმეს არ მიიყვანენ.

რა კომპრომატები აქვს საქართველოს ხელისუფლებაზე პუტინს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბიან, რა მნიშვნელობა მიენიჭება ამ რეგიონს მომავალში. მათ არა აქვთ კავკასიაში სათანადო კავშირები და რომც ჰქონდეთ, არ ენდობიან. და რაც მთავარია, ჩვენს ხელისუფლებას მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების მხარდაჭერა აღარ აქვს. მხარდაჭერა კი იმიტომ დაიკარგა, რომ ჩვენ ხელისუფლებას არ სურს მათთან მეგობრობა.

– როგორ არ მეგობრობენ, სულ ჩვენი დასავლელი პარტნიორები აკერიათ პირზე.

– საუბრით ამას საუბრობენ, მაგრამ საქმით სხვას ამტკიცებენ. იმისათვის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სერიოზულ გართულებაზე წახვიდე, დასავლეთთან უფრო სერიოზული კავშირებია საჭირო. ესენი კი, როგორც გითხარით, დიდი ოცეულის ქვეყნებთან არ მეგობრობენ. თავს იმით იმართლებენ, რომ ასე ჩუმად და გართულებების გარეშე ჯობია მიზნამდე მისვლა. ამიტომაც არ იღებენ ხმას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

– რამდენ ხანს უნდა იყვნენ ასე ჩუმად?

– გააჩნია, როგორია მათი გეგმა. შესაძლოა ამ დუმილმა წლები გასტანოს.

– ამასობაში დასავლეთსაც დაავიწყდება აფხაზეთი და სამაჩაბლო. ამაზე არავის უფიქრია?

– მადლობა ღმერთს, რომ დასავლეთში უფრო ახსოვთ აფხაზეთი, სამაჩაბლო და ყარაბაღი. მადლობა ღმერთს, რომ დასავლეთსა და მოსკოვს შორის დაძაბულობაა და ის კიდევ უფრო გაღრმავდება. დასავლეთი რუსეთს ყოველთვის შეახსენებს, რომ ის დამპყრობელია.

– თქვენ გგონიათ, რომ რუსეთს თუ დამპყრობელს უწოდებენ, შერცხვება? იქ დღემდე ველიკაია დერჟავას აღდგენაზე ოცნებობენ.

– რუსეთს არასდროს არაფრის არ შერცხვენია და არც ახლა შერცხვება, მაგრამ სანქციები თავისას გაიტანს. კარგი იქნება, თუ დასავლეთი სანქციებს კიდევ უფრო გაამკაცრებს. ეს აუცილებლად აიძულებს კრემლს დათმობებზე წასვლას.

– დარწმუნებული ხართ, რომ სანქციები დათმობაზე წასვლას აიძულებს?

– აიძულებს, აიძულებს. თავის დროზე საერთაშორისო ზეწოლის შედეგად დამმო ბერლინის კედელი, აღმოსავლეთ ევროპა, სოციალისტური ბანაკი... არც ისე დიდი ხნის წინ კურილიის კუნძულებიც დათმო, ოღონდ ეს დათმობა ოსტატურად შეფუთა – ის იურიდიულად რუსეთის შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ ფაქტიურად იაპონელ ბიზნესმენებს გადაეცათ სარგებლობისათვის.

– ესენი დათმო, მაგრამ კავკასიას დათმობს? იქნებ ამ ყველაფრის სანაცვლოდ კავკასია დაიტოვა?

– დასავლეთი თუ ქანჩების მოჭერის პოლიტიკას გააგრძელებს, მოსკოვი კავკასიასაც დათმობს. დროა მსოფლიომ შეიგნოს, რომ რუსეთს ყველა ქმედებაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს. გადამწყვეტი სიტყვა დასავლეთზეა, მაგრამ არც ჩვენი ხელისუფლება უნდა იჯდეს გულხელდაკრეფილი. ისინი მთელს მსოფლიოში უნდა აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს. ამის ნიშნები არ ჩანს. შეიძლება მათ რაღაც სხვა გეგმა აქვთ.

– ამ გეგმაზე უკვე მეორედ საუბრობთ და რა გეგმაა, გაგებით მოკიდების პოლიტიკა?

– შესაძლოა ისეთივე გეგმაა, შევარდნაძეს რომ ჰქონდა. მთელი 11 წლის მანძილზე გვიმტკიცებდა, რომ ჰქონდა რაღაც გეგმა, რომლითაც საქართველოს ააყვავებდა და ამ ტყუილით ამდენი ხანი შეინარჩუნა თანამდებობა. ქვეყანა გაყვლიფა და ხელისუფლებაში მისთვის სასურველი ოპოზიცია მოიყვანა.

ამათაც ალბათ ასეთი გეგმა აქვთ, რაღაცას ელოდებიან და პროცესებს ჩუმად მიჰყვებიან.

– მაინც რას ელოდებიან, ჩინური სიბრძნე ხომ არ წაიკითხეს – ყვითელი მდინარის პირას თუ დიდხანს იჯდები, მდინარე შენს მტრებს ჩამოატარებსო. იქნება სჯერათ, რომ პუტინს ჩამოატარებს ყვითელი მდინარე.

– შეიძლება მართლა ამას ელოდებიან, მაგრამ მეეჭვება, ამათ ყვითელ მდინარესთან დაჯდომის წესები იცოდნენ. პუტინის ჩამომტარებელ მდინარეს სახელად დასავლეთი ერქმევა. ამიტომ უმჯობესია, ჩვენი ხელისუფლება თუ დასავლეთთან ითანამშრომლებს და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში ჩაიხედავს კარგად, რომელსაც ვიღაცები ქართველობის წართმევას ეძახიან.

– თქვენი აზრით, სექსუალური უმცირესობების დაცვა რატომ არის ქართველობის წართმევა და იგივე ხალხი რატომ არ კარგავს ქართველობას მაშინ, როდესაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ახდენს?

– ამაზე პირდაპირ გიპასუხებთ, საქართველოში ძალიან ბევრია ყოფილი კომკავშირელი, კომუნისტი და კაგებეს თანამშრომელი. მათმა ნაწილმა გულწრფელად აქცია ზურგი რუსეთს, დიდი ნაწილი კი ისევ მის გვერდით დარჩა. თქვენი აზრით, ასეთი ხალხი გააპროტესტებს რუსეთის მიერ საქართველოს მიწების ოკუპაციას.

ისინი იმაზეც დათანხმდებიან, თუ რუსეთი საქართველოს შეიერთებს. ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი სიამოვნებით შეხვდებოდა იმასაც, თუ საქართველო კრასნოდარის მხარის ნაწილი გახდებოდა. ისინი უფრო ამაყად იმსახურებდნენ ამ მხარეში.

– ეს ცოტა დაუჯერებელია, რატომ უნდა გინდოდეს რომელიღაც ქვეყანაში შემავალი მხარის ხელისუფლებაში იყო, როცა შეგიძლია დამოუკიდებელი ქვეყნის მინისტრი ან დეპუტატი გახდე?

– ეს ადამიანზეა დამოკიდებული. წესით, ბოზობაც არავის არ უნდა უნდოდეს, მაგრამ ამ გზას ირჩევენ. ასევეა პოლიტიკაშიც. ქართულ პოლიტიკაში ბევრია ისეთი, რომლებსაც რუსეთის შემადგენლობაში გუბერნიად ყოფნა ურჩევნია დამოუკიდებლობას.

მათ სურვილებს რომ თავი დავანებოთ, რუსეთის ხელისუფლებას და, კონკრეტულად პუტინს, ძალიან ბევრი კომპრომატი აქვს ჩვენს ბუდარია პოლიტიკოსებზე. ამ კომპრომატების წყალობით მას ბევრი რამის მიღწევა შეუძლია.

– გინდათ თქვათ, რომ პუტინი ჩვენს პოლიტიკოსებს კომპრომატებით აშანტაჟებს?

– შანტაჟი სხვა რამეა, ამ შემთხვევაში პუტინი ამათ კომპრომატებით აშინებს.

– თქვენ იცით იმ ადამიანების ვინაობა, რომლებზეც პუტინს კომპრომატები აქვს?

– მათი ვინაობაც ვიცი და ბევრი სხვა რამეც. ჩვენი ორგანიზაცია, კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, ბევრ ინფორმაციას ფლობს.

– ის ხალხი, ვისზეც რუსეთის პრეზიდენტს კომპრომატები აქვს, ხელისუფლებაში არიან?

– ისინი ყველგან არიან. გვარებს არავითარ შემთხვევაში არ დავასახელებ. მათი გამოცნობა ქართულ სპეცსამსახურებს არ უნდა გაუჭირდეს. ასეთი ხალხი პოლიტიკას სასწრაფოდ უნდა ჩამოაცილონ. ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ დააკარგვინებენ, მაგრამ ბევრ პრობლემას შეუქმნიან.

– დამოუკიდებლობას რატომ ვერ დააკარგვინებენ?

– იმიტომ, რომ დასავლეთი ამის ნებას არ მისცემს. ჩვენი ბუდარია პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, დასავლეთისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრად მნიშვნელოვანია.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

პროფესიონალი კადრების სიმცირე ხელისუფლების ბრალია

– ქვეყანაში პროფესიონალი კადრების სიმცირეზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება, – ასე ეხმაურება საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი პრეზიდენტის განცხადებას, სადაც ის ადგილობრივი კადრების დაბალ კვალიფიკაციაზე საუბრობს.

– ეკონომიკის, ან ინვესტიციების ზრდა არაფრისმთქმელ სტატისტიკურ მონაცემად დარჩება, თუ არ მოხდება ისედაც მწირი რესურსის და დოვლათის ეფექტიანი გადანაწილება, სამუშაო ადგილების შექმნა. სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოში ინვესტიციების ზრდის პირდაპირპროპორციულად არ იქმნება სამუშაო ადგილები. ხშირია შემთხვევა, როდესაც ინვესტორებს უცხოელი მუშახელი ჩამოჰყავთ, ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ნაკლებობის გამო. შესაბამისად, იმისთვის, რომ უცხოური ინვესტიციებიდან მეტი სარგებელი მივიღოთ, საჭიროა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლება ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტად ვაქციოთ, – ეს განცხადება პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებისას გააკეთა.

პროფესიონალი კადრების დაბალ კვალიფიკაციაზე საუბრობს ირაკლი პეტრიაშვილი და ამაზე სრულ პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

– ძალიან ბევრი ფაქტია, როდესაც საქართველოში უცხოელი ჩამოჰყავთ სამუშაოდ. ეს იმიტომ, რომ აქ სამუშაოს მაძიებლების კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებს დამსაქმებელს. ამაზე კი სრული პასუხისმგებლობა აკისრია ხელისუფლებას, რადგან ბევრი არაფერი გაკეთებულა იმ კუთხით, რომ პროფესიონალი კადრების გადამზადება მომხდარიყო და პროფესიული განათლება ყოფილიყო ამ ქვეყანაში პოპულარიზებული.

დღესაც ჩვენ გვაქვს ასეთი კანონმდებლობა – თუ ადამიანი გადაწყვეტს, რომ მე-9 კლასიდან გავიდეს, შეიძინოს რაღაც პროფესია, უმაღლესი განათლების მიღების სურვილის შემთხვევაში, ის ისევ მე-9 კლასში უნდა დაბრუნდეს, ისწავლოს ისე მე-12 კლასის ჩათვლით და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბაროს. საქართველოსა და ქართველი მშობლების მენტალობიდან გამომდინარე, რომელი მშობელი გადადგამს ამ ნაბიჯს, რომ შვილს მოუკლას პერსპექტივა, რათა მან ოდესმე უმაღლესი განათლება მიიღოს, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

მისივე განცხადებით, კიდევ ერთი პრობლემაა ტენდერები, რომლის დროსაც ბიუჯეტიდან თანხა უცხოურ კომპანიებზე გაიცემა, თუმცა მათ დასაქმებულთა კვოტირების ვალდებულება არ აქვთ:

– ეს კომპანიები თანხას საქართველოს მოსახლეობის მიერ შევსებული ბიუჯეტიდან იღებენ, თუმცა არ ხდება კვოტირება, თუ საქართველოს რამდენი მოქალაქე უნდა დასაქმონ. ეს არის ის ძირითადი პრობლემები, რაზეც ხელისუფლებაში არავინ საუბრობს. არადა, ამ ყველაფერში პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკისრებათ, – განუცხადა „კომერსანტს“ პეტრიაშვილმა.

კვალიფიციური კადრების სიმცირეზე მიუთითებს უცხოელების საქართველოში დასაქმების სტატისტიკური მონაცემებიც. როგორც იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ „კომერსანტისთვის“ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, 2015 წელს შრომითი ბინადრობის ნებართვა 9.337-მა უცხოელმა მიიღო, 2016 წელს კი 9.635-მა. მთლიანად კი, 2014 წლის სექტემბრიდან დღემდე ქვეყანაში შრომითი ბინადრობის ნებართვა 22.362 უცხოელს მიენიჭა.

ირაკლი პეტრიაშვილის განცხადებით, 2,5 წელიწადში შრომითი ბინადრობის ნებართვის 22 362 ადამიანზე გაცემა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

– კონკრეტულად არ ვიცი ის საწარმოები, სადაც დიდი რაოდენობით უცხოელები მუშაობენ, მაგრამ ვიცი, რომ საქართველოში ძირითადად მუშაობენ ჩინელები, ინდოელები, თურქები. როდესაც საქართველოს მოქალაქეები უმუშევრები არიან, ქვეყნიდან მიდიან, რომ ლუკმა-პური იშოვონ, ამ რაოდენობით უცხოელზე შრომითი ნებართვის გაცემა სრული კატასტროფაა, – განუცხადა „კომერსანტს“ პეტრიაშვილმა.

ინტერნეტით გამოწერილ ნივთებზე განბაჟების ზღვარი არ შეიცვლება

საპარლამენტო უმრავლესობა ინტერნეტით გამოწერილი ნივთების განბაჟების ზღვრის შეცვლას მხარს არ დაუჭერს. ამის შესახებ განცხადებას „კომერსანტთან“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა კვიჟინაძე აკეთებს. როგორც ცნობილია, საპარლამენტო ოპოზიცია ინტერნეტით გამოწერილი ნივთების განბაჟების ზღვრის შეცვლას 300 ლარიდან 500 ლარამდე ითხოვს.

კვიჟინაძის განმარტებით, ფრაქცია „ევროპულმა საქართველომ“ საგადასახადო კოდექსში 8 ცვლილება შემოიტანა. განბაჟების ტარიფების ცვლილება ერთ-ერთია. მისი განმარტებით, ყველაფერი ეს ბიუჯეტის 1.5 მილიარდი ლარით შემცირებას იწვევს. კვიჟინაძის განმარტებით, საპარლამენტო უმრავლესობისთვის უცნობია, ბიუჯეტის რომელ მუხლებს უნდა მოაკლდეს 1.5 მილიარდი ლარი. მისი განცხადებით, უმრავლესობას თავისი გეგმა და პროგრამა აქვს და ამას ახორციელებს.

როგორც კვიჟინაძე აცხადებს, საპარლამენტო ოპოზიციის მიერ ინიცირებული ცვლილებით ასევე მოთხოვნილია საშემოსავლო გადასახადის 5 პროცენტით შემცირება, რაც ბიუჯეტში 800 მილიონიან დანაკლისს. მისი განცხადებით, ამ ცვლილებების მოსმენა სასიამოვნოა, თუმცა მის პრაქტიკაში გადმოტანას ფინანსური სახსრები სჭირდება.

კვიჟინაძის განმარტებით, ცვლილებათ პაკეტის განხილვა უარყოფითი დასკვნით საკომიტეტო მოსმენებზე უკვე მოხდა. უახლოეს პერიოდში კი მისი გატანა სესიაზე მოხდება, თუმცა, მას საპარლამენტო უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს.

ცვლილებათა პაკეტის ინიციატორი, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრი ოთარ კახიძე განმარტავს, რომ როდესაც ეს ზღვარი დადგინდა, მაშინ დოლარის კურსი ლართან მიმართებაში 1.5 იყო, ახლა კი ის 2.4 ნიშნულზეა. შესაბამისად, ეს არის ინდექსაცია. ოთარ კახიძე განმარტავს, რომ დღეს მოქმედი საგადასახადო რეჟიმი 2012 წელს დაწესდა. მაშინ 300 ლარი იყო 182 დოლარი და დღეს 182 დოლარი 500 ლარამდეა.

– როდესაც იწერენ პროდუქციას, ის არის უცხოურ ვალუტაში, ლარის გაუფასურების გამო კი კონკრეტული ადამიანები ზარალდებიან. ამაზე პასუხისმგებელი კი მთავრობაა. ეს არის ის სეგმენტი, რომელიც ფუფუნების საგნებს არ იძენს. ამიტომ, სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, მოახდინოს ინდექსაცია და მომხმარებელს ტვირთი შეუმსუბუქოს, – აცხადებს კახიძე.

კითხვაზე, ინიციატივა ხომ არ გამომდინარეობს ონლაინგამოწერის კომპანიებში ბრუნვის შემცირებიდან, კახიძე აცხადებს, რომ აღნიშნულ კომპანიებს ბრუნვა, სავარაუდოდ, შემცირებული არ ექნებათ მარტივი მიზეზის გამო, რადგან ქვეყანაში ონლაინგამოწერები წლიდან წლამდე პოპულარული ხდება.

რაც შეეხება ბიუჯეტში დანაკლისს, კახიძე აცხადებს, რომ 2016 წელს წლევანდელ ბიუჯეტთან შედარებით ბიუჯეტი 1.1 მილიარდი ლარით ნაკლები იყო. მიუხედავად ამისა, მაშინ „ქვეყანა არ დაიქცა“.

მისი განმარტებით, თუ არსებობს პოლიტიკური ნება, ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია.

– მაგალითად, ლარიზაციის პროგრამაზე 55 მილიონი ლარი დახარჯეს ისე, რომ ხალხმა ნდობა არ გამოუცხადა. ადგილობრივ თვითმმართველობებში 48 მილიონი ლარი ყოველ წელიწადს იხარჯება, ეგრეთ წოდებული ანაკლიის მიწების გამოსყიდვის პროექტი, რომელიც ფულის ფლანგვაა და პრემიების და დანამატების ზრდა. თუ მთავრობას აქვს პოლიტიკური ნება ხარჯებს აქედან გამოათავისუფლებს, – აცხადებს კახიძე.

ინტერნეტით გამოწერილ ნივთებზე განბაჟების ზღვარი არ შეიცვლება

სკოლებსა და საბავშვო ბაღებში 14-დან 17 აპრილის ჩათვლით დასვენების დღეები იქნება

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სკოლებსა და საბავშვო ბაღებში 14-დან 17 აპრილის ჩათვლით დასვენების დღეები იქნება.

როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იუწყება, საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლები პარასკევს, 14 აპრილიდან დაისვენებენ. სასწავლო პროცესი სამშაბათს, 18 აპრილს განახლდება.

ანალოგიური გრაფიკით დაისვენებენ საბავშვო ბაღებიც. როგორც თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში განაცხადეს, სააღმზრდელო პროცესი 14-დან 17 აპრილის ჩათვლით შეწყდება.

საბავშვო ბაღები მუშაობას 18 აპრილს განაგრძობენ.

ზურაბ პატარაძე: „საჯარო სამსახურებში ანაზღაურება მინიმალურია“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე საჯარო მოხელეების ანაზღაურებასთან დაკავშირებულ კვლევის შედეგებს გამოეხმაურა.როგორც „ინტერპრესნიუსს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურიდან აცნობეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აჭარის ორგანიზაციამ აჭარის მთავრობის, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და დეპარტამენტების საჯარო მოხელეებზე გაცემულ გასამრჯელოსთან დაკავშირებით 2015-2016 წლის კვლევა გამოაქვეყნა.

როგორც ზურაბ პატარაძემ აღნიშნა, საჯარო სამსახურები პროფესიონალი კადრებით არის დაკომპლექტებული და მათი ანაზღაურება მინიმალურია.

– როგორც იცით, ჩვენ ოპტიმიზაცია გამოვაცხადეთ. შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები, ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ. დღეს ჩვენს მთავრობაში ერთგული ადამიანები მუშაობენ. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ შევინარჩუნოთ კადრები, შესაბამისად, მათ ნორმალური და ღირსეული ანაზღაურება უნდა ჰქონდეთ. ჩვენ მივადევნებთ თვალყურს მომავალში და მაქსიმალურად ვიქნებით ჩართული, რათა ზომიერება იყოს დაცული. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობა და კოორდინაცია. ჩვენი გუნდი პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული. ისინი იმ მინიმუმს ღებულობენ, რაც უნდა მიიღოს სახელმწიფო მოხელემ, – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, აჭარაში სხვადასხვა საჯარო სამსახურში 3.641 ადამიანია დასაქმებული.

მიკროსაფინანსოების მიერ დასაკუთრებული ქონება 51,2%-ით გაიზარდა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონება ბოლო ერთი წლის განმავლობაში 51,2%-ით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით, 2016 წლის მე-4 კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა 14,354,536 ლარის უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრეს, რაც 4,861 მილიონი ლარით მეტია 2015 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშის მიხედვით, 2015 წლის მე-4 კვარტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა ჯამში 9.492.885 ლარის უძრავ-მოძრავი ქონება დაისაკუთრეს.

ექსპერტი საფინანსო საკითხებში დავით კიკვიძე აცხადებს, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან დასაკუთრებული ქონების მკვეთრი ზრდა გასულ წელთან შედარებით ორი მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. პირველი, რომ თვითონ სექტორი იზრდება, ბაზარი გაჯერებულია და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რიცხვი ძალიან დიდია.

გარდა ამისა, როგორც კიკვიძე აცხადებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკმაოდ დიდი ნაწილი ძალიან არასწორი და კაბალური პირობებით მუშაობს და ორიენტირებულია ქონების ჩამორთმევაზე.

– აღნიშნული სტატისტიკა შეიძლება ამითაც აიხსნას. ეს, ალბათ, ყველა ორგანიზაციას არ შეეხება. თუმცა, არის ძალიან ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომელიც არასწორი მიდგომებით მუშაობს, ბაზარს აფუჭებს, ორიენტირებულია კარგი ქონების დასაკუთრებაზე, კლიენტებთან მოლაპარაკებაზე ძალიან ხისტად მიდის, არ აძლევს შეღავათებს. ეს ავტომატურად იწვევს მსესხებლების მხრიდან გადახდისუნარიანობის წარმოშობას, რაც საბოლოო ჯამში ქონების დაკარგვაში გამოიხატება, – აცხადებს კიკვიძე.

მისი განმარტებით, ისტორიულად, მიკროსაფინანსოებიდან უძრავი ქონების დასაკუთრება ყოველთვის დაბალ მაჩვენებელთან იყო ასოცირებული. პირველ ადგილზე ყოველთვის მევახშეები იყვნენ, მეორეზე – ბანკები და მესამეზე – მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე მაია ბ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მაია ბ. საქართველოს მოქალაქეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მუშაობის დაწყებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც 7.000 აშშ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ამასთან განუმარტა, რომ სამსახურში მოწყობამდე საჭირო იყო აღნიშნული თანხის ნახევრის – 3.500 აშშ დოლარის წინასწარ გადახდა.

მაია ბ-მ ხსენებულ მოქალაქეს მოტყუებით, თაღლითურად გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 3.500 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

„ბორჯომისა“ და „ლიკანის“ ფალსიფიკაციის ფაქტი გამოავლინეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, გატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, „ბორჯომისა“ და „ლიკანის“ ფალსიფიკაციის ფაქტი გამოავლინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ქალაქ ბორჯომში, ერთ – ერთ მოქალაქეს, საკუთარი საცხოვრებელი სახლის სარდაფში კუსტარულად მოწყობილი ჰქონდა მინერალური წყლების ჩამოსასხმელი საამქრო, სადაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით, კუსტარული წესით, სისტემატურად ახდენდა ფალსიფიცირებული მინერალური წყლების „ბორჯომისა“ და „ლიკანის“ დამზადებას.

– საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულია მინერალური წყლების ფალსიფიცირებისთვის განკუთვნილი მანქანა დანადგარები და კუსტარული წესით დამზადებული „ლიკანი“ და „ბორჯომი“.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე პრიმა მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

დედაზე განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობასა და ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარაში წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი კ.ე. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 111, 151-ე მუხლით. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 26 აგვისტოს კ.ე. მივიდა მშობლების საცხოვრებელ სახლში და დედას ტელეფონის აპარატი ესროლა, რომელიც ამ უკანასკნელს სახის არეში მოხვდა და განიცადა ფიზიკური ტკივილი. კ.ე. დედამისს ასევე სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა, რომელსაც მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში გაუჩნდა.

სამართალდამცველებმა კ.ე. იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახში ძალადობა) და 111, 151-ე მუხლით (ოჯახის წევრის მიმართ მუქარა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კ.ე. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

2016 წელს სუს-მა ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე პირი გამოავლინა

2016 წელს სუს-მა ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე პირი გამოავლინა. ამის შესახებ ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც პარლამენტს განსახილველად წარედგინა.

– საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, თუმცა აღნიშნული მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები. „ისლამურმა სახელმწიფომ“ და სხვა ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინეს. რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებლები ცდილობენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის რელიგიური შეხედულებები და დაბალი ცნობიერება საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ, – ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების საქმიანობის გამოვლენასა და აღკვეთას.

შედეგად, 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ტერორისტული აქტივობების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 9 საქმეზე, რამდენიმე პირის მიმართ კი დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ბრალდების მხარის სასარგებლოდ დასრულდა 2015 წელს აღძრული რამდენიმე რეზონანსული სისხლის

სამართლის საქმე, მათ შორის, „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელ აიუფ ბორჩაშვილისა და მისი დაჯგუფების წევრების მიმართ.

დოკუმენტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე პირი. 28 დეკემბერს სსკ-ის 327-ე მუხლით დაიწყო გამოძიება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რომელიც საქართველოში ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერი დაჯგუფების შექმნას ცდილობდა. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების 15-კაციანი ჯგუფის მიმართაც, რომლებიც ექსტრემისტული მოწოდებებით ტერორიზმის იდეოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებდნენ.

გარდა ამისა, 2016 წლის 2 ივლისს ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და მიმდინარეობს გამოძიება.

სუს-ის ინფორმაციით, გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი, საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს რამდენიმე მოქალაქეც, რომლებიც სხვადასხვა ინტერნეტ რესურსის, კერძოდ, ე.წ. ბლოგებისა და სოციალური მედიის გამოყენებით ეწეოდნენ ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიურ მხარდაჭერას.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მუშაობდა სირიასა და ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების მსურველთა მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენების აღკვეთის მიმართულებით. დადგენილია პირი, რომელიც დახმარებას უწევდა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მსურველ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში მყოფ პირებს, ასევე, ეხმარებოდა მათ სხვადასხვა ტიპის გზავნილების მიღებაში. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

სუს-ის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში მუდმივად ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს მოქალაქეების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის გამგზავრების პრევენციის მიზნით. მთლიანობაში, კონტრტერორისტული მიმართულებით საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილი იქნა 1500 პირი, ხოლო 750-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა.

საერთო ჯამში, სუს-ის შეფასებით, შემცირდა ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის მსურველი რადიკალიზებული მოქალაქეების რაოდენობა.

შალვა ხუციშვილი: „ომბუდსმენის რეკომენდაციების ნაწილი დაუსაბუთებელია“

შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილის შეფასებით, პოლიციის მუშაობასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის რეკომენდაციების ნაწილი დაუსაბუთებელია.

როგორც ხუციშვილმა სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის შეფასებისას განაცხადა, რეკომენდაციების ნაწილს შსს იზიარებს და მზადაა, შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს.

– არის საკითხები, რომელსაც ვიზიარებთ და ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ამის გათვალისწინებით და დავხვეწოთ გარკვეული ნაბიჯები, რომლებიც ეხება სამართლებრივ თუ სხვა საკითხებს. თუმცა არის საკითხები, რომლებიც ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელი იყო და თუ რატომ იყო დაუსაბუთებელი, ამაზეც პასუხს გავცემთ ხვალ, – განაცხადა შალვა ხუციშვილმა.

სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის თანახმად, დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაზიანებით შეყვანილ და პოლიციის მიმართ პრეტენზიის მქონე პირთა რაოდენობა 2016 წელს, ბოლო 4 წლის განმავლობაში, ყველაზე მაღალი იყო. ანგარიშში ასევე საუბარია პოლიციის მიერ ძალის გადამეტების სავარაუდო ფაქტებზე და დაკავებისას დაზიანებების არ ასახვას შესაბამის ოქმში, მაშინ როდესაც ვიზუალური დათვალიერების ოქმში ეს დაზიანებები დაფიქსირებულია.

სახალხო დამცველი ასევე რეკომენდაციით მიმართავს შსს-ს, რათა პოლიციის თანამშრომლებმა ზემდგომი თანამდებობის პირებისგან მიიღონ მკაფიო გზავნილი, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა დაუსჯელი არ დარჩება.

რუსთავის გზაზე ერთმანეთს 6 ავტომობილი შეეჯახა

რუსთავის ავტომაგისტრალზე ავარია მოხდა. ერთმანეთს ექვსი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ისინი რუსთავის სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილი.

თვითმხილველების თქმით, „ჰიუნდაის“ მარკის ავტომობილს მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, რასაც ავარია მოჰყვა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, დაშავებულია სამი ადამიანი, მათ სხეულის მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებათ. საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

თბილისში მამამ შვილი მოკლა

ორთაჭალაში მამამ შვილი მოკლა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, დანაშაულში ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

რა გახდა მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ერთ-ერთ მოტივად შელაპარაკება სახელდება.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 11-108-ე (ოჯახში ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობა) და 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა) მიმდინარეობს.

გორში ავარიის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი მძიმედ დაშავდა

გორში ახალგაზრდა მამაკაცს ავტომობილი დაეჯახა. არსებული ინფორმაციით, მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

არსებული ინფორმაციით, დაშავებული, რომელიც 30 წლამდე მამაკაცია, გზაზე გამვლელმა იპოვა. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობას. მათივე თქმით, ხორციელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დამნაშავე მძღოლის დასადგენად.

გერმანიაში საქართველოს მოქალაქის მკვლელობაში სავარაუდო ეჭვმიტანილი ქართველია

გერმანიაში მოკლული საქართველოს მოქალაქის ახლობლების ინფორმაციით, დანაშაულში ეჭვმიტანილი, სავარაუდოდ, ქართველია.

არაოფიციალური ცნობით, მკვლელობას წინ უძღოდა შელაპარაკება, რომელიც სუფრაზე დაიწყო. შემთხვევა გერმანიის ქალაქ მანჰაიმში მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გერმანიის მხარემ დაადასტურა, რომ 10 აპრილს ძალადობრივი ჩარევის შედეგად საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა.

– ბერლინში საქართველოს საკონსულოს სამსახურში ოფიციალური შეტყობინება გერმანიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან ჯერ არ შესულა. გაიმართა სატელეფონო საუბარი კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელსა და კონსულს შორის, რა დროსაც, გერმანულმა მხარემ დაადასტურა, რომ 10 აპრილს ძალადობრივი ჩარევის შედეგად გარდაცვლილია საქართველოს მოქალაქე. დღეს ჩატარდება ექსპერტიზა. მიმდინარეობს გამოძიება და დამატებით დეტალები მოგვიანებით გახდება ცნობილი, – განაცხადეს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

არაოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქე ცივი იარაღით ავტომანქანაში მოკლეს. დაღუპული 32 წლის მამაკაცია.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

რა სცენარით განვითარდება მოვლენები სირიაში

მარიამ მჭედლიშვილი

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენების გამო რუსეთს კარგა ხანს აღარ ეცლება აგრესიისათვის საქართველოსა და უკრაინაში. მიუხედავად ამისა, ეს პროცესები გავლენას ახდენს ყველა ქვეყანაზე.

გერმანული „დი ველტის“ შეფასებით, სირიაში მოვლენების განვითარების სამი სცენარი არსებობს.

პირველი – აშშ შეეგუება რუსეთისა და ირანის მიერ მხარდაჭერილ ასადის რეჟიმს, რომელიც მომავალში დაემუქრება ისრაელს.

მეორე – ასადის რეჟიმი აშშ-ის სამხედრო ოპერაციის შედეგად შეიცვლება. სირიაში დამკვიდრდება ლიბიის ტიპის მმართველობა.

მესამე – მოხდება შეიარაღებული შეტაკება აშშ-სა და რუსეთს შორის.

„ვაშინგტონ პოსტი“ დარწმუნებულია, რომ თუ ტრამპის ადმინისტრაცია და კრემლი სირიის საკითხზე ვერ მოილაპარაკებენ, ორი ბირთვული სახელმწიფო ერთმანეთს შეეჯახება.

გამოცემა აღნიშნავს, რომ რაც უფრო ფართო მიზნები ექნება აშშ-ის ადმინისტრაციას სირიაში, მით უფრო მოწყვლადი იქნება თეთრი სახლი ზეწოლის მიმართ. მასზე ზემოქმედებას მოახდენენ იმისათვის, რომ მოხდეს ესკალაცია.

ზოგიერთი რეგიონული მოთამაშე, მაგალითად, თურქეთი, რომელიც დიდი ხანია ოცნებობს აშშ-ის ჩათრევაზე ასადთან ომში, აცხადებს, რომ ვაშინგტონის დარტყმები ავიაბაზაზე არასაკმარისია. ის აშშ-ს უფრო გაბედული მოქმედებებისაკენ მოუწოდებს.

ამერიკელი სენატორები ჯონ მაკეინი და მარკო რუბიო მოუწოდებენ დონალდ ტრამპს, მიაწოდოს მეტი იარაღი სირიის ოპოზიციურ ძალებს, შექმნას სირიაში არაასაფრენი ზონები და გააგრძელოს სარაკეტო დარტყმები.

ამასობაში სირიის საჰაერო სამხედრო ძალებმა განაახლეს ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ ხან-შეიხუნის დაბომბვა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწოდებები და ზეწოლა უფრო აქტიური გახდება.

თუ აშშ ამ მოწოდებებს აჰყვება, „ვაშინგტონ პოსტი“ გარდაუვლად მიიჩნევს ომს აშშ-სა და რუსეთს შორის.

მისი სიტყვებით, სირიის საკვანძო სამხედრო ბაზებზე რუსეთის სამხედროები არიან განლაგებული, მოსკოვმა სირიაში განათავსა თავისი საჰაერო თავდაცვის საშუალებები, რუსეთის თვითმფრინავები იქ პატრულირებენ. შესაბამისად, ფართო ამერიკული კამპანია ასადზე ზემოქმედების მიზნით გამოიწვევს რუსეთის სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვას. პრობლემას გამოიწვევს არაასაფრენი ზონების შექმნაც. ამგვარი აქტიურობა ხელს შეუშლის ასევე კოალიციურ ძალებს ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში.

აშშ-მ სირიის შაირათის ავიაბაზაზე იერიშამდეც მოუწოდა რუსეთს, ხელი აეღო ბაშარ ასადის რეჟიმის მხარდაჭერაზე. ამგვარი მოწოდებები ახლაც გაისმის.

– ტრამპი და მეი მოგვიწოდებენ, უარი ვთქვათ ასადის მოკავშირეობაზე და გვეუბნებიან, რომ ეს არ შეესაბამება ჩვენს ინტერესს. რისი შემოთავაზება შეუძლიათ მათ ამის სანაცვლოდ? გასაღების ჩაბარება ან-ნუსრასა და ისლამური სახელმწიფოსათვის? – აცხადებს რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის – ფედერაციის საბჭოს ინფორმაციის პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვი.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა იყო ის სფერო, რომელშიც რუსეთსა და აშშ-ს უნდა ეთანამშრომლათ. მცირე მასშტაბით ასეთი თანამშრომლობა ხორციელდებოდა. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა სიტუაცია შეცვალა.

ახლო აღმოსავლეთში ტერორისტებთან ბრძოლას ხელშესახები შედეგები არ მოუტანია – მსოფლიოში ტერორისტული აქტები არ შემცირებულა. ტერორიზმთან და ექსტრემიზმთან დაკავშირებული დანაშაული და საფრთხე გაზრდილია რუსეთშიც. ამგვარი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი შემცირებულია.

ექსპერტების აზრით, ერთი მხრივ, სირიაში რუსეთი ანადგურებს მსხვილი ტერორისტული ორგანიზაციების ბაზებს, მეორე მხრივ კი ამ გზით ხდება მსხვილი ბანდფორმირებების დაშლა და ჯიჰადისტების განშტოებების შექმნა.

ამის გამო რუსეთში სულ უფრო იზრდება იატაკქვეშა ტერორიზმის გაძლიერებისა და ტერორისტების მასშტაბური ქმედებების საფრთხე.

შეტაკებები ოდესაში

ოდესაში დიდების ხეივანში უკრაინელ პატრიოტებსა და პრორუსული მოძრაობის აქტივისტებს შორის შეტაკება მოხდა. მიზეზი რუსების მიერ ოდესის გათავისუფლების 73-ე წლისთავის აღნიშვნა იყო.

პრორუსი აქტივისტები უცნობი მატროსის მემორიალთან მივიდნენ და ყვავილები დააწყვეს. იქ მათ უკრაინელი პატრიოტები დახვდნენ. პრორუსი აქტივისტები ამას აგრესიულად შეხვდნენ.

– წაეთრიეთ აქედან! ოდესა ბანდერელებისა არასოდეს ყოფილა და არც იქნება!

– თქვენ თვითონ წაეთრიეთ! – იყო პასუხი.

პუტინის ოდესელი მეხოტბენი უკრაინელ პატრიოტებს საცემად მივარდნენ. გაიმართა ჩხუბი. პუტინის ფანებიც მაგრად გაილახნენ. ერთ-ერთმა მათგანმა მობილური ტელეფონიდან პოლიციაში დარეკა. შემთხვევის ადგილზე მოსულმა სპეცრაზმმა მხოლოდ უკრაინელი პატრიოტები დააკავა.

– სამწუხაროდ, პოლიცია საოცარ გულმოწყალებას იჩენს მათდამი, ვინც ანტიუკრაინულ საქმიანობას ეწევა, ჩვენ მიმართ კი საოცრად აგრესიულია, – განუცხადა რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტს უკრაინული პატრიოტული მოძრაობის ადგილობრივმა აქტივისტმა იშენკომ.

პოლიციამ 16 უკრაინელი პატრიოტი დააკავა. ყველა მათგანი პოლიციის რაიგანყოფილებაში გადაიყვანეს. მათ წინააღმდეგ საქმე ხულიგნობის ბრალდებით აღიძრა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ასადის ავიაციის 20 პროცენტი განადგურებულია

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ სირიაზე განხორციელებული სარაკეტო დარტყმის დროს ყველა რაკეტამ მიზანს მიაღწია.

– ასადის ავიაციის 20% განადგურებულია, – აცხადებს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი.

მატისმა გამოთქვა იმედი, რომ ამიერიდან ასადი ქიმიური იარაღის გამოყენებას მოერიდება.

– ისეთებს, როგორიც ასადია, მხოლოდ ძალის ენა ესმით! ასადს გვარიანად მოხვდა, ჰოდა, ჭკუას ისწავლის! – თქვა მატისმა.

აშშ-მ რუსეთი სირიის ავიაბაზის დაბომბვის თაობაზე წინასწარ გააფრთხილა, მოსკოვმა ამერიკული რაკეტების ჩამოგდება ვერ გაბედა. რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ შეეცადა, მუნდირის ღირსება რამდენადმე დაეცვა.

– ამერიკული რაკეტების 80%-მა მიზანს ვერ მიაღწია, – განაცხადა შოიგუმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სტოკჰოლმის ტერაქტში ეჭვმიტანილმა რაჰმატ აკილოვმა დანაშაული აღიარა

სტოკჰოლმის ტერაქტში ეჭვმიტანილმა რაჰმატ აკილოვმა დანაშაული აღიარა. ამის შესახებ ინფორმაცია მისმა ადვოკატმა იოჰან ერიქსონმა დაადასტურა.

აკილოვი წარმოშობით უზბეკია და 2014 წელს მან შვედეთის მთავრობას თავშესაფარი სთხოვა, რაზეც უარი მიიღო, ხოლო 2017 წლის თებერვლიდან მას პოლიცია ეძებდა, რომ შვედეთიდან გაეძევებინათ.

როგორც ჩანს, აკილოვმა შურისძიება გადაწყვიტა და სტოკჰოლმის ცენტრში სატვირთო ავტომობილით ხალხში შევარდა, რის შემდეგაც 4 ადამიანი დაიღუპა. მათ შორის 11 წლის გოგონაც არის.

შვედეთის მთავრობამ ამ ფაქტს ტერაქტი უწოდა, აკილოვი კი სამართალდამცველებმა მალე დააკავეს.

ტერაქტი 7 აპრილს მოხდა, ხოლო აკილოვი ორ დღეში დააკავეს, თუმცა აქამდე მასზე მწირი ინფორმაცია იყო.

აკილოვს 4 შვილი ჰყავს, რომლებიც უზბეკეთში ცხოვრობენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ამერიკელმა 255 მარმელადი ხუთ წუთში შეჭამა

ამერიკელმა მეთ სტოუნმა ორასზე მეტი მარმელადის ჩიტი და ბაჭია სარეკორდო სისწრაფით გადასანსლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

სააღდგომო ნუგბარის ჭამის ჩემპიონატზე, რომელიც ამერიკის კოლუმბიის ოლქის ქალაქ ვაშინგტონში ჩატარდა, მან ხუთი წუთის განმავლობაში 255 მარმელადისგან დამზადებული ცხოველების ფიგურები გადაყლაპა და მთავარი პრიზი 1750 დოლარი მიიღო. ადრინდელი რეკორდიც სტოუნს ეკუთვნოდა. გასული წლის ჩემპიონატზე, რომელიც მერილენდის შტატში ჩატარდა, მან 200 ცალი მარმელადი ხუთ წუთში შეჭამა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ფაჩულია და გოლდენ სტეიტი პლეი ოფებისთვის ემზადებიან

რეგულარულ ჩემპიონატში პირველობაგანაღდებულმა და ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობის დამბევებელმა გოლდენ სტეიტმა პლეი ოფის დაწყებამდე ბოლოსწინა მატჩი გამართა. უმოტივაციო ოკლენდელები, რომლებმაც კლეი ტომპსონი დაასვენეს და ტრავმამოშუშებულ კევინ დურანტს ფორმაში შესასვლელად ასპარეზი დაუთმეს, იუტა ჯაზთან დამარცხდნენ.

თანაბარ ბრძოლაში საბოლოოდ სტუმარმა იუტელებმა 105:99 იმარჯვეს, რითაც საკუთარი სატურნირო ვითარება გაიუმჯობესეს, ხოლო გოლდენ სტეიტის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა დიურანტის მორიგი ორმაგი დუბლით. 40-დღიანი უქმობის შემდეგ ოკლენდელთა სუპერვარსკვლავი მოედანზე 2 დღის წინ ორმაგი დუბლით დაბრუნდა და იუტასთანც იგივე გაიმეორა – 33 წუთში 16 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი მიითვალა.

ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მისთვის საშუალოდ გამოყოფილ დროზე მეტ ხანს ითამაშა ზაზა ფაჩულიამ. ოკლენდელთა ქართველმა ცენტრმა 25 წუთში 8 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ზაზამ 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. გოლდენ სტეიტში 28 ქულით საუკეთესო იყო სტეფ კარი, ხოლო ოკლენდელთა სათადარიგო ცენტრმა ჯავალ მაკგიმ 15 წუთში 11 ქულა მოაგროვა.

66 მოგებითა და 15 მარცხით „მეომრები“ პირველ ადგილზე არიან და ასე დარჩება რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, 82-ე მატჩის შემდეგაც. ოკლენდს ლოს ანჯელეს ლეიკერსი ესტუმრება და ეს იქნება ბოლო სარეპეტიციო მატჩი პლეი ოფის წინ.

პლეი ოფში კი გოლდენ სტეიტის მეტოქე ცნობილია – პორტლენდ ბლეიზერსი. ოკლენდელებს შეხვდათ ასდათ დენვერი, რომელიც უფრო სუსტი გუნდი ჩანს, მაგრამ ეს ამბავი სულაც არ წყენიათ. ამის დასტურია თავად ქართველი კალათბურთელის სიტყვები:

– დენვერიც კარგი გუნდია და პორტლენდიც, ორივეს კარგი კალათბურთელები ჰყავს და მათ წინააღმდეგ მთელი ძალებითაა თამაში საჭირო. საჭიროა, რომ მათ ჭკვიანურად და დისციპლინირებულად ეთამაშო... საერთოდ, პლეი ოფში თამაში უფრო რთულია. მე საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას, ვის ვეთამაშებით, თუმცა ერთი ცხადია, ზღვის დონიდან მაღლა უფრო ძნელია თამაში, იქ სუნთქვა ჭირს. ამიტომ კარგია, რომ დენვერში აღარ მოგვიწევს იქ თამაში. მთავარია, ჩვენს ხელში იყოს დაპირისპირების სრული კონტროლი. ვინც არ უნდა იყოს ჩვენი მეტოქე, უნდა გავიდეთ და საკუთარი თამაში ვაჩვენოთ. ცხადია, დიდი ენერგია დაგვჭირდება მიზნის მისაღწევად.

ოქროს ბიჭუნას ნომინაციისთვის 98 ფეხბურთელი იბრძოლებს

2017 წლის ოქროს ბიჭუნას ნომინაციის სია დადასტურდა. ოქროს ბიჭუნა არის ჯილდო, რომელსაც სპორტული ჟურნალისტები გადასცემენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც კალენდარულ წელში ნაჩვენები თამაშის გამო იმსახურებენ მას.

ყველა ნომინანტი 21 წლამდე ასაკის უნდა იყოს და ევროპული ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში ასპარეზობდეს.

ჯილდო 2003 წელს იტალიურმა გაზეთმა „ტუტოსპორტმა“ დააარსა და მას შემდეგ გამოკითხვაში სხვა გაზეთებიც მონაწილეობენ საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან, რუსეთიდან, საბერძნეთიდან, გერმანიიდან, პორტუგალიიდან და შვეიცარიიდან.

გასული წლის გამარჯვებული რენატუ სანჩეში (ბაიერნი) გახდა, რომელიც კვლავ არის წარდგენილი. მის გარდა, ფავორიტებად მიიჩნევიან კილიამ მბაპე (მონაკო), ჯანლუიჯი დონარუმა (მილანი), მარკუს რეშფორდი (მანჩესტერი).

აღსანიშნავია, რომ სიაში არიან წარსულში ცნობილი ფეხბურთელების შვილები – ლუკა ზიდანი (რეალი), ფედერიკო კიეზა (ფიორენტინა) და ჯუსტინ კლიუვერტი (აიაქსი).

სულ პრიზისთვის კი 98 ფეხბურთელი იბრძოლებს.

ჟოზე მოურინიოს ევროპის ლიგა და ტრანსფერები სჭირდება

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო აღიარებს, რომ თავისი გუნდი იდეალურისგან ძალიან შორს არის და კიდევ ერთი სატრანსფერო ფანჯარა სჭირდება, რათა გუნდის სათანადოდ გაძლიერება შეძლოს.

მიუხედავად იმისა, რომ „წითელმა ეშმაკებმა“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი, პოლ პოგბა და ჰენრიხ მხითარიანი გადაიბირეს, პრემიერლიგაში კი 21-მატჩიანი წაუგებელი სერია აჩვენეს, გუნდი დიდი ხანია გამოეთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას და ვერც ოთხეულში ახერხებს შესვლას.

მოურინიო აცხადებს, რომ მანჩესტერი პრემიერ ლიგის ოთხეულში მოხვედრით ბედნიერი ვერ იქნება და კლუბს მხოლოდ ტიტულების მოგება სურს. „წითელმა ეშმაკებმა“ მიმდინარე სეზონში ტიტულების თარო ქომუნითი შილდისა და ლიგის თასის მოგებით შეავსეს. ისინი ევროპა ლიგის მეოთხედფინალშიც იმყოფებიან და მოურინიო ამ ტურნირის მოგებას აპირებს.

მთავარ მწვრთნელს კი მიაჩნია, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა გუნდს მწყობრში მოიყვანს და სამომავლოდ გაცილებით ამბიციური იქნება.

ჟოზე მოურინიო:

– პრემიერ ლიგაში ჩვენი სიტუაციისთვის კვლავ ვიბრძვით, მაგრამ ევროპა ლიგა ჩვენთვის უფრო ფუნდამენტალურ ტურნირად იქცა. ვფიქრობ, ისეთივე რთულია, როგორიც ოთხეულში მოხვედრა, მაგრამ ეს ერთადერთი ტურნირია, რომლის მოგებაც შეგვიძლია და ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ. არ მინდა, ჩვენი კლუბი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრით იყოს ბედნიერი, ჩვენ ტიტულებისთვის ბრძოლა გვსურს, ამ კლუბში მხოლოდ ერთი სატრანსფერო ფანჯარა მქონდა, მეორე არ გამოგვიყენებია. კიდევ ერთი მასშტაბური სატრანსფერო კამპანია გვჭირდება.

გიორგი დევდარიანი: „ქართველები სულსწრაფები ვართ და უცებ გვინდა დიდი შედეგების მიღწევა“

ეროვნული ლიგა თბილისის ლოკომოტივმა ჩინებულად დაიწყო და 6 ტურის შემდეგ რკინიგზელები 13 ქულით პირველ ადგილზე არიან. ამასთან, ბოლო 2 მატჩი დიდებულად ჩაატარეს და 5:0 ჯერ ფოთის კოლხეთს მოუგეს, შემდეგ კი – ქობულეთის შუქურას.

ლოკოს ამბებზე გუნდის მთავარ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს გავესაუბრეთ.

– როგორ აფასებთ ახლებური ფორმატით მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატს?

– დადებითი ტენდენციები უკვე აშკარად საგრძნობია. ამ დროისთვის 2 ძირითად ასპექტს გამოვყოფდი: პირველი ის, რომ მსაჯობის დონე ამაღლებულია. მართალია, შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული და ამის გამო ვერავის გავკიცხავ, მიკერძოებას კი ვეღარ ვამჩნევ; მეორე სასიამოვნო ტენდენცია ის არის, რომ ეროვნულ ლიგაში გარიგების ეჭვი ერთ მატჩსაც კი არ დაჰკრავდა.

– რის ხარჯზეა ლოკომოტივი ასეთი ეფექტური და შედეგიანი ეროვნული ლიგის სასტარტო მატჩებში?

– მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად გავიარეთ და ვფიქრობ, სეზონის სტარტს გუნდი მაქსიმალურად მომზადებული შეხვდა როგორც ფიზიკურად, ასევე ტექნიკურ-ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად. სრული კმაყოფილების საფუძველი მაინც არ მაქვს, რადგან ლოკომოტივს გრძელი სათადარიგოთა სკამის ფუფუნება არ გააჩნია, ყველა სასურველი ფეხბურთელის დამატება ვერ შევძელით და ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მომდევნო სატრანსფერო ფანჯრისას ვიზრუნებთ.

– ლოკომოტივის ასაკობრივი გუნდების პროგრესით რამდენად კმაყოფილი ხართ?

– ამქვეყნად იდეალური არაფერია, მაგრამ ფაქტია, რომ ლოკომოტივის სისტემა მუშაობს და ახალ თაობებს ზრდის. ცხადია, ვისურვებდით, რომ ჩვენი უფრო მეტი აღზრდილი მოხვდეს ასაკობრივ ნაკრებებში, მეტი მათგანი ხვდებოდეს ძლიერ უცხოურ კლუბებში, უფრო სწრაფად ადიოდნენ პირველი გუნდის დონეზე. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ლოკომოტივის მთავარ გუნდში ჩვენი აღზრდილები დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

– მიმდინარე სეზონში ლოკომოტივს რა მიზანი აქვს?

– ჩვენი პროგრამა-მინიმუმი საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაა. შემადგენლობის გაძლიერება გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, ამას წარმატებით გავართმევთ თავს და სეზონის ბოლოს ღირსეულ პოზიციაზე ვიქნებით.

– საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს როგორ შეაფასებთ?

– ქართველები სულსწრაფები ვართ და უცებ გვინდა დიდი შედეგების მიღწევა, ასე კი არც ერთ სფეროში ხდება. ერთ წელინადში ხელშესახებ შედეგებს გია გეგუჩაძე კი არა, გვარდიოლა ვერ მიაღწევდა.

– თავად თუ ფიქრობთ სანაკრებო ფეხბურთში დაბრუნებაზე?

– ნებისმიერი ქართველისთვის დიდი პატივია საკუთარი ქვეყნის სამსახურში ყოფნა. სანაკრებო საქმიანობა ჩემთვის განსაკუთრებული გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. როცა ეს შანსი მეძლეოდა, მთელი სულითა და გულით ვცდილობდი საქართველოს წარმოჩენას. სხვა საქმეა, როგორ გამომდიოდა...

რაც შეეხება დღევანდელ დღეს, ლოკომოტივში მუშაობა ჩემთვის არანაკლები გამოწვევაა და როგორც მწვრთნელს, შემიძლია ვთქვა, რომ აქ საკუთარი თავის რეალიზება შემიძლია...

– რა შეგძინათ თურქულ ტრაბზონსფორში გატარებულმა პერიოდმა?

– შოთა არველაძემ საშუალება მომცა, ახალი გამოწვევა მიმეღო. ახლოდან ვნახე სხვა ფეხბურთი, სხვა დონე, სხვა სისწრაფეები, სხვა წნეხი... საწყენია, რომ ჩემი თურქული კარიერა დიდხანს არ გაგრძელდა, იყო გულის დაწყვეტის მომენტებიც, რის გარეშეც ფეხბურთი არ არსებობს. მთლიანობაში, იქ გატარებულმა პერიოდმა ბევრი მასწავლა და ჩემი, როგორც მწვრთნელისა და ადამიანის თვალსაწიერი მნიშვნელოვნად გააფართოვა.

– არაერთი გამორჩეული ფეხბურთელის მწვრთნელი ყოფილხართ, მათმა ნაწილმა ბოლომდე შეძლო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, ნაწილმა კი იმედები ვერ გაამართლა. ვის პროგრესს გამოარჩევდით და ყველაზე მეტად ვისზე გწყდებათ გული?

– მეორე კატეგორიით დავიწყებ – ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშეს გოჩა ხოჯავამ და გიორგი ჭანტურიამ. მე ხომ ყველაზე უკეთ ვიცი, რა შესაძლებლობების პატრონი იყო ხოჯავა. სამწუხაროდ, მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება... ჭანტურიას იმედი კი ჯერ არ დამიკარგავს. მართალია, მან წლები გაანიავა, მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ თავის სიტყვას კიდევ იტყვის. საწყენია, რომ ახლა მძიმე ტრავმის გამოა უქმად, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ამ დაბრკოლებასაც გადალახავს.

– ბოლო წლებმა რაიმე ხომ არ შეცვალა თქვენს სამწვრთნელო გეგმოვნებაში?

– ალბათ, ბევრი არაფერი. ერთი ისაა, რომ ასაკი მომემატა და ბევრ საკითხს სხვა თვალით დავუწყე ყურება. ხოლო შეკითხვაზე, პროგრესირებს თუ რეგრესირებს მწვრთნელი გიორგი დევდარიანი, პასუხი მიმდინარე სეზონს მივანდოთ.

ბაიერნი-რეალის მატჩის წინ

დღეს ჩემპიონთა ლიგაში მეოთხედფინალური წყვილების მთავარი დაპირისპირების პირველი მატჩია – მიუნხენის ბაიერნი შინ მადრიდის რეალს დაუხვდება.

ბავარიელთა ვებგვერდზე რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. ახალ ამბებს ძირითადად ტრავმირებულ ფეხბურთელთა შესახებ ვიგებთ.

უპირველესად უნდა ვთქვათ ის, რომ ვარჯიში სრული დატვირთვით განაახლა ბავარიელთა კარის მეკარე მანუელ ნოიერმა. ამის გათვალისწინებით კი შეგვიძლია ვთქვათ რომ მიუხენელთა კარს მადრიდის რეალთან გასამართ მატჩში, დიდი აღბათობით, სწორედ ის დაიცავს.

კარგი ამბებია თომას მიულერის შესახებაც: გერმანელმა შემტევმა მანუელ ნოიერის მსგავსად სრული დატვირთვით ივარჯიშა, მართალია მისი თამაში მადრიდული კლუბის წინააღმდეგ დიდ ეჭვს ისედაც არ იწვევდა, თუმცა ბავარიელთა 25-ე ნომერი ჩემპიონთა ლიგის მომდევნო მატჩში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს.

ბავარიელებს არასასიამოვნო ამბებიც აქვთ: გერმანულ კლასიკოში მიღებული დაზიანების შემდეგ რობერტ ლევანდოვსკის თამაში სამეფო კლუბის წინააღმდეგ თითქოს სათუო გახდა. პოლონელმა ფორვარდმა ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა, მაგრამ სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელშიც პოლონელი ბურთთან ერთად გადაადგილდებოდა. არსებობს ვარაუდი რომლის თანახმადაც კარლო ანჩელოტიმ, უბრალოდ, არ გარისკა თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ერთი ინფორმაციაც რეალის ბანაკიდან: როგორც ცნობილი გახდა, მადრიდელთა განაპირა მცველმა დანი კარვახალმა ბოლო ვარჯიში ნაადრევად დატოვა და მისი თამაში საეჭვო გახდა.

ბავარიის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ჟურნალისტის რამდენიმე კითხვას უპასუხა და თავის კოლეგა ზინედინ ზიდანს შესანიშნავი სპეციალისტი უწოდა:

– ზინედინი უკვე შესანიშნავი სპეციალისტია. ის ჩემი ასისტენტი იყო, შემდეგ კი კასტილიას ავარჯიშებდა. როდესაც მწვრთნელი ხდები, შენი სათამაშო გამოცდილება მხოლოდ ნაწილობრივ არის სარგებლობის მომტანი. საჭიროა მეტის სწავლა, ყველა მოვლენის კურსში ყოფნა და საკუთარი გამოცდილების მიღება, და ზიდანი ამას აკეთებდა. ის ქარიზმატულია. ფეხბურთელები პატივს სცემენ და ეს მეტად მნიშვნელოვანია...

პლეი ოფში შეუძლებელია ყველაფრის გათვლა. ვცდილობ ხოლმე, ჩვენს ძლიერ მახასიათებლებზე ვფოკუსირდე. ხასიათი უნდა აჩვენო და თამამი უნდა იყო. თუ ეს გამოგივა, შეიძლება შედეგების მიღება. თუ შეშინებული ხარ, გაცილებით რთული ხდება. კიდევ ერთი მოგება ჩემპიონთა ლიგაზე, განსაკუთრებით ამ კლუბთან, განსაკუთრებული იქნება. ბავარია ბოლო 2 წლის განმავლობაში 2-ჯერ თამაშობდა ნახევარფინალში და ახლოს იყო მოგებასთან, ამიტომ მსურს, საბოლოოდ ეს თასი ჩვენ ავიღოთ.

დავით ხოჭოლავა კარიერას დონეცკის შახტარში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრებისა და ოდესის ჩერნომორეცის ფეხბურთელი დავით ხოჭოლავა კარიერას დონეცკის შახტარში გააგრძელებს. ინფორმაციას კლუბის ვებგვერდი ავრცელებს. ხოჭოლავამ დონბასურ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და გუნდს 2017-18 წლების სეზონის დასაწყისში შეუერთდება.

24 წლის მცველი ჩერნომორეცში 2015 წლიდან თამაშობს და უკრაინის პრემიერ ლიგაში ჩატარებულ 39 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

ოდესელთა გარდა, კარიერის განმავლობაში 24 წლის მცველს თბილისის სასკოში, რუსთავის მეტალურგში, ბოლნისის სიონში, თბილისის დინამოში, ფოთის კოლხეთსა და ქობულეთის შუქურაში უთამაშია. ხოჭოლავა ბოლო დროს საქართველოს ნაკრებშიც გამოიძახეს და ეროვნული გუნდის მაისურით უკვე 3 მატჩიც ჩაატარა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ძიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

შედეგები

10 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

კრ.პალასი-არსენალი 3:0

სატენნისო ცხრილი:

1.ჩელსი	31	24	3	4	65-25	75
2.ტოტენჰემი	31	20	8	3	64-22	68
3.ლივერპული	32	18	9	5	68-40	63
4.სიტი	31	18	7	6	60-35	61
5.მანჩესტერი	30	15	12	3	46-24	57
6.არსენალი	30	16	6	8	61-39	54
7.ევერტონი	32	15	9	8	57-36	54
8.ვესტ ბრომვიჩი	32	12	8	12	39-41	44
9.საუთჰემპტონი	30	11	7	12	37-37	40
10.უოტფორდი	31	10	7	14	36-52	37
11.ლესტერი	31	10	6	15	39-51	36
12.ბარნლი	32	10	6	16	32-44	36
13.სტოკი	32	9	9	14	34-47	36
14.ვესტ ჰემი	32	10	6	16	42-57	36
15.ბორნმუთი	32	9	8	15	45-59	35
16.კრ.პალასი	31	10	4	17	42-50	34
17.ჰალი	32	8	6	18	33-64	30
18.სუონსი	32	8	4	20	37-67	28
19.მიდლსბრო	31	4	12	15	22-37	24
20.სანდერლენდი	31	5	5	21	24-56	20

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სოსიედადი-ხიხონი 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	30	22	6	2	79-31	72
2.ბარსელონა	31	21	6	4	88-28	69
3.ატლეტიკო	31	18	8	5	56-24	62
4.სევილია	31	18	7	6	56-39	61
5.ვილიარეალი	31	15	9	7	45-24	54
6.სოსიედადი	31	16	4	11	46-42	52
7.ეიბარი	31	14	8	9	52-42	50
8.ბილბაო	31	15	5	11	40-36	50
9.ესპანიოლი	31	12	10	9	43-42	46
10.სელტა	30	12	5	13	45-51	41
11.ალავესი	31	10	10	11	29-38	40
12.ვალენსია	31	11	6	14	47-54	39
13.ლას პალმასი	31	10	8	13	50-52	38
14.მალაგა	31	8	9	14	36-47	33
15.ბეტისი	31	8	7	16	33-51	31
16.დეპორტივო	31	6	10	15	33-50	28
17.ლეგანესი	31	6	9	16	26-48	27
18.ხიხონი	31	5	7	19	32-61	22
19.გრანადა	31	4	8	19	27-65	20
20.ოსასუნა	31	3	8	20	32-70	17

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-დინამო 1:0

იტალია. სერია ბ

ნოვარა-ვერონა 2:2

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

აიაჩო-ლანსი 3:6

ჩუსეთი. პრემიერლიგა

ტომი-რუბინი 2:2

ურალი-ორენბურგი 2:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-გალათასარაი 4:0

ქაშიმფაშა-ქონია 1:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-რუხი 1:0

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-სილკებორგი 1:3

შვედეთი. ალსვენსკა

ელფსბორგი-აიკი 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნი-ბრანი 1:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიკი-კუუპიო 2:0

როგორ გავზომოთ სიცხე სწორად

ეკა ირემაშვილი

სიცხის მატება ბავშვებში ნებისმიერი მშობლისთვის განგაშის სიგნალია. პედიატრები გვირჩევენ, რომ სიცხე სწორად გავზომოთ. რას ნიშნავს სიცხის სწორად გაზომვა, როდის არის ტემპერატურა სანერვიულო და როგორ დავაგდოთ იგი სწორად? – ამ თემებზე იაშვილის კლინიკის სამედიცინო დირექტორი, პროფესორი, პედიატრი ივანე ჩხაიძე საუბრობს.

ივანე ჩხაიძე:

– სიცხე შეიძლება გაიზომოს სხვადასხვა მეთოდითა და ხელსაწყოთი. კატეგორიულად გირჩევთ, არ გქონდეთ სახლში ვერცხლისწყლის თერმომეტრი. ამის ძირითადი არგუმენტი არის ვერცხლისწყლის თერმომეტრის გატეხის რისკი. განსხვავება, რა თქმა უნდა, არის ვერცხლისწყლისა და ციფრულ თერმომეტრს შორის, მაგრამ, არა იმდენი, რომ შეგაცდინოთ გადაწყვეტილებამ.

– რა მეთოდებია სიცხის გასაზომად?

– სწორ ნაწლავში გაზომვა, იღლიაში გაზომვა და პირის ღრუში გაზომვა. ყველაზე კარგი და საიმედო მეთოდია ტემპერატურის გაზომვა სწორ ნაწლავში. ეს არ არის აბსოლუტურად იდეალური, მაგრამ დღეისათვის, ამ 3 მეთოდთან შედარებით, ყველაზე საიმედოა. შეზღუდვა ის აქვს, რომ თერმომეტრი უნდა შეიყვანოთ რაღაც გარკვეულ მანძილზე, რათა სწორი ციფრი მიიღოთ. თუ ამ პერიოდში ნაწლავთა მოქმედების დრო დადგა, პასუხი არასწორი იქნება. თუ ბავშვს წინა პერიოდში ნაწლავთა მოქმედება ჰქონდა გახშირებული, აუცილებლად იქნება პასუხი განსხვავებული. თუ ბავშვი არ არის წყნარად და მოძრაობს, შანსი იმის, რომ სწორი ნაწლავი დაზიანდეს, არსებობს. თუმცა სწორია ასეთი მეთოდით გაზომვა.

იღლიაში ციფრული თერმომეტრით სიცხე იზომება 2-4 წუთი, ვერცხლისწყლის თერმომეტრით კი 8-10 წუთია საჭირო. ასე გაზომილი ტემპერატურა იმიტომ არის არაზუსტი, რომ მასზე გავლენას ახდენს გარემო ტემპერატურა. გარემო ტემპერატურა ნიშნავს, რომ თუ თქვენ ბავშვი ავად გყავთ, იგულისხმება, რომ ფანჯრებს არ აღებთ, აცმევთ ბეგრს და ესეც ქართული სენია.

ორალური მეთოდით – პირის ღრუში გაზომვის დროსაც გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, თუ ბავშვი პირით სუნთქავს და არა ცხვირით, ან თუ საკვები მიიღო, ამიტომ ესეც გარკვეული არაზუსტი მეთოდია, თან 3-4 წუთის განმავლობაში ბავშვს პირი უნდა ჰქონდეს დახურული. ამიტომ ეს მეთოდი ჩვილებში რეკომენდებული არ არის. რა თქმა უნდა, უფრო ზუსტია, ვიდრე იღლიაში, მაგრამ სწორ ნაწლავში გაზომილ ტემპერატურასთან შედარებით ნაკლებად ზუსტ ციფრებს გაძლევთ.

ბოლო პერიოდში წამოვდა მეთოდი, რომელიც ყველაზე მეტად კომფორტულია – ეს არის ყველაზე იოლი, მარტივი და ბავშვთან დაკავშირებით კარგი მეთოდი, ე.წ. დისტანციური მეთოდი, როდესაც თერმომეტრს ათავსებთ რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით შუბლიდან. ეს მომენტალურად გაძლევთ შედეგს, მაშინვე ხედავთ და უკვე იცით, რა ტემპერატურა აქვს თქვენს შვილს. ეს ყველაზე უფრო პროგრესული, თანამედროვე, სარწმუნო და სწრაფი მეთოდია ტემპერატურის გასაზომად.

– სიცხის დამწევი როგორი საშუალებების გამოყენებას ურჩევთ მშობლებს?

– კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ ტაბლეტიზებული ფორმების მედიკამენტების გამოყენებისა მცირე ასაკის ბავშვებში, ანუ როცა ტაბლეტი უნდა გატეხოთ და მისცეთ. მიზეზი მარტივია – ზუსტი დოზირება შეუძლებელია. სიცხის დამწევ სიროფებს წონის შესაბამისად აწერია, რა დოზით უნდა მისცეთ წამალი თქვენს შვილს. არ გამოიყენოთ ტაბლეტიზებული ფორმა წამლებისა. ეს არ ეხება მარტო სიცხის დამწევს, ეს ეხება ნებისმიერ პრეპარატს. დღეს არის დიდი არჩევანი, გამოიყენეთ სიროფი, სანთელი, მაგრამ არა ტაბლეტები. დაიმახსოვრეთ, არ შეიძლება, სიცხის დამწევი პრეპარატების მიცემის შუალედები იყოს 6 საათზე ნაკლები, ეს არის უსაფრთხო და კომფორტული შუალედი. არიან მშობლები, რომლებიც ამ ინტერვალს ინარჩუნებენ ერთ პრეპარატთან დაკავშირებით და 2-3 საათში კიდევ სხვა პრეპარატს აძლევენ. ეს არის საკუთარი თავის მოტყუება, რომ შუალედი დაიცვეს, არადა, ეს ასე არ არის. თუ თქვენ 3 და 4 დღის განმავლობაში ყოველ 3-4 საათში ერთხელ მისცემთ თქვენს შვილს სიცხის დამწევ საშუალებას, ეს არის დოზის გადაჭარბება. ამიტომ ძალიან ფრთხილად იყავით. პრეპარატები უსაფრთხოა, თუ მას აძლევთ თავისი ჩვენებისა და ინტერვალის შესაბამისად.

– წამლის მიცემის შემდეგ რამდენ ხანში უნდა დადგეს შედეგი?

– ამას ბევრი გვეკითხება, რამდენ ხანში უნდა ველოდო შედეგს – მაშინ, როცა ვსვამ წამალს და რამდენ ხანში უნდა ველოდო შედეგს, როცა წამალს ვიღებთ რექტალური ფორმით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ აქედან გამომდინარეობს მშობლის მოლოდინი. ითვლება, რომ დალეული სიროფი 30-40 წუთის შემდეგ იწყებს მოქმედებას და არა 5-10 წუთში. რექტალური გაცილებით უფრო სწრაფია, მაგრამ, ყველაზე მთავარია, მშობელს არ ჰქონდეს ილუზია, რომ ბავშვს დაალევინა წამალი და ის მაშინვე კარგად გახდება.

– რა უნდა გავაკეთოთ, როცა ბავშვს ხელ-ფეხი ცივი აქვს და ვიცით, რომ მას ტემპერატურის აუწევს?

– ბავშვს ხელ-ფეხი ცივი ან ცხელი აქვს ტემპერატურის დროს. ყველა დედას აქვს ამის გამოცდილება, ნაწილი დედების აბობს, რომ თუ ხელ-ფეხი გაუცივდა ბავშვს, ვიცი რომ მოიმატებს ტემპერატურა, ამ დროს დამწევი აუცილებლად უნდა მივცეთო, მაგრამ არ უნდა მისცეთ. გააჩნია, იმ მომენტში ტემპერატურა რამდენია. მშობელი ყოველთვის არ არის დარწმუნებული, მოიმატებს ტემპერატურა თუ არა. შეიძლება, ხელ-ფეხი ჰქონდეს ცივი და ტემპერატურა შეგრჩეთ 37.8.თ უ ბავშვს ხელ-ფეხი ცივი აქვს, ამ დროს თბილ წყალში უნდა ჩააყოფინეთ, ან წინდები ჩააცვით, ან სათბური დაუდეთ. ამ დროს ბავშვს უქმნით კომფორტს და ეს უმნიშვნელოვანესია. ხელ-ფეხის გათბობა არ ნიშნავს, რომ მშობელი ხელს შეუწყობს ტემპერატურის მატებას.

მეორე კითხვა – რა გავაკეთო მაშინ, როცა სიცხე აქვს ბავშვს, მივეცი დამწევი და არ მივიღე შედეგი, ან შედეგამდე დამრჩა 40 წუთი, როგორ უნდა გავაგრილო? ამ დროს ბავშვს უნდა გახადოთ და ცოტა ხნით დაანებინოთ შიშველი, თუმცა არა – გაყინულ ოთახში. გადახურება არის ერთ-ერთი ხელშემწყობი ტემპერატურის მატების დროს. ხშირად დედები ბავშვებს აცმევენ ძმრიან, სპირტიან წინდებს, კვერცხის გულებს ადებენ, კომბოსტოს აფენენ. ჩვენ ვიძლევით ძალიან მარტივ რეკომენდაციას – ოთახის ტემპერატურის 20-24 გრადუსიან წყალში დაისველეთ ხელები და ყველგან კარგად დაზილეთ თქვენი შიშველი შვილი. ასეთი მეთოდებით დაწეული ტემპერატურა არ წარმოადგენს არავითარ საფრთხეს, თუნდაც სწრაფად მოხდეს ტემპერატურის ვარდნა. რაც შეეხება სპირტით დაზელას, ის არ არის გაგრილების საუკეთესო მეთოდი, რადგან შესაძლებელია აღინიშნოს ალკოჰოლის სისტემურ შეწოვასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენები. თან ალკოჰოლი ძალიან სწრაფად ორთქლდება. წყლის აორთქლებას ცოტა მეტი დრო სჭირდება. ძმარს სუნი აქვს საშინელი, ამიტომ ის შეიძლება დისკომფორტის საფუძველი ან კანის ალერგიის გამომწვევი მიზეზი გახდეს.

– როდის არის ტემპერატურა სანერვიულო?



– სამ თვემდე ასაკში: თუ ტემპერატურა 38 გრადუსზე მეტია და, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას დაავადების რაიმე ნიშნები. 3-დან 6 თვემდე ასაკში: თუ ტემპერატურა 38,3 გრადუსზე მეტია. 6 თვის ზემოთ: თუ ტემპერატურა 39,5 გრადუსზე მეტია. ნებისმიერი ასაკში, თუ: ტემპერატურა 40 გრადუსზე მეტია. თუ ცხელება ზედიზედ 3 დღე გრძელდება. აქ საუბარია იღლიაში გაზომილი ტემპერატურაზე.

თუ ნებისმიერ ცხელებასთან ერთად ბავშვს აქვს ღებინება, 37.5-ც რომ იყოს ტემპერატურა, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს. ამას თუ დაემატება, რომ ყიფლიბანდი ჩავარდნილი აქვს, პირის სიმშრალე აქვს, ხარბად სვამს წყალს, უმიზეზოდ ჭირვეულობს, შარდვა შემცირდა, საფენებს უცვლით უფრო იშვიათად, თუ დიდი ასაკის ბავშვია, ტუალეტში არ წავიდა ხშირად, ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმმა დაკარგა სითხე და აუცილებლად უნდა წაიყვანოთ ბავშვი საავადმყოფოში.

თუ ბავშვი სიცხესთან ერთად არის ძილიანი და მივარდნილი, არ აქვს მნიშვნელობა, 37 გრადუსი აქვს სიცხე თუ 39.5. მივარდნილობა არის ცალკე დამოუკიდებლად საშიშროების ნიშანი. ეს არის ყველაზე ცუდი და ამის უკან დგას ბევრი რამ: ნებისმიერი ინტოქსიკაცია, ენცეფალიტი, მენინგიტი, მძიმე ფილტვების ანთება... ყველა მძიმე დაავადების საწყისი არის ძილიანობა და მივარდნილობა. თუ ნებისმიერ ცხელებასთან ერთად, ბავშვს ჰქონდა გულყრა, არაფერს ელოდებით და მაშინვე მიდიხართ საავადმყოფოში.

შეუჩერებელი ღებინება, საკვებისა და სითხის მიღებაზე უარის თქმა, მივარდნილობა-ძილიანობა და გულყრა – ამ 4 ნიშნის დროს მინიმალური ცხელების ან ნორმალური ტემპერატურის დროსაც ბავშვი მიგყავთ საავადმყოფოში. ძილიანობაში ვგულისხმობთ იმას, რომ ბავშვს სძინავს და ვერ აღვიძებთ. აქ ძილია მნიშვნელოვანი და არა უხასიათობა.

– რას ურჩევდით მშობლებს?

– უნდა გახსოვდეთ, რომ ცხელებამ შეიძლება დაიცვას ორგანიზმი, თან არ დაგაგიწყდეთ, რომ ცხელების დონე არ არის დაავადების სიმძიმის იდენტური, ანუ არ უნდა ჩათვალოთ, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით უფრო მძიმეა დაავადება. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ცხელების დამწევ საშუალებებს გვერდითი მოვლენები აქვთ, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ეს მაშინ, როცა დამწევ საშუალებებს იყენებთ დიდი ხნის განმავლობაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ის არის ორგანიზმის სავსებით ნორმალური, ფიზიოლოგიური პასუხი. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ცხელება არის ხანმოკლე და კეთილთვისებიანი, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება არა ცხელებას, არამედ იმ ნიშნებს, რომლებიც უფრო სერიოზულ დაავადებებზე მიუთითებს.

ძალიან ხშირად ხდება პაციენტის არასწორი მოლოდინისა და იმედის მიზეზი, რომელსაც ვეძახით ცხელებას უცნობი მიზეზის გამო, რომელიც გრძელდება მინიმუმ 8 დღე. როცა ექიმი ყველა კვლევას ატარებს, დეტალურად სინჯავს, აბარებინებს სისხლისა და შარდის ანალიზს, უღებს რენტგენს, დეტალურად ეკითხება ყველაფერს, მაგრამ დიაგნოზს ვერ სვამს. ეს შემთხვევა არის ყველაზე დიდი საზრუნავი როგორც პაციენტის, ისე ექიმის. გავაკეთებთ მეორე რიგის კვლევებსაც, კომპიუტერს, ბიოქიმიას, მაგრამ, შეიძლება, დიაგნოზი მაინც ვერ დავსვათ. ასეთი მშობლები, როგორც წესი, იცვლიან ექიმებს და ერთი კლინიკიდან გადადიან მეორეში, მეორედან მესამეში და ეძებენ სიცხის მიზეზს. მათი საქციელი გასაგებია. მაგრამ ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება, ასეა უცხოეთშიც. ასეთი ბავშვები ყველაზე ხშირად დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან. ჩვენ ვეუბნებით მშობლებს, რომ პირველივე დღიდან ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ, წინასწარ ვაფრთხილებთ, შეიძლება, მიზეზი ვერ ვიპოვოთ. როგორც წესი, აქ არის მთელი რიგი ჩამონათვალისა: ქრონიკული ინფექციები, სიმსივნური პროცესები, ტუბერკულოზი, პროცესები, დაკავშირებული სისტემურ დაავადებებთან. ყველაფერი შეიძლება გამოირიცხოს, მაგრამ მაინც ვერ მივიღოთ პასუხი, რატომ აქვს ბავშვს ცხელება. თუ ყველაფერი ამოვწურეთ და მაინც ვერ ვიპოვეთ ცხელების მიზეზი, ჩვენი კოლეგები გვთავაზობენ, რომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ბავშვს სერიოზული არაფერი აქვს და წავიდეს სახლში. ასეთი ბავშვების უმრავლესობა აქტიურია, სკოლაშიც დადის, თამაშობს, საკვებსაც იღებს, მაგრამ ტემპერატურა არ აწუხებთ, თუმცა ეს ტემპერატურა აწუხებს მშობელს და ეს სავსებით გასაგებია.

ამიტომ მშობლებმა გაითვალისწინონ, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ ტემპერატურის არ შეეშინდებათ, თუ 37 გრადუსზე ექიმთან არ დაიწყებენ სიარულს, თუ 37.3-ზე არ მისცემენ დამწევს, რადგან დამწევი სჭირდება ბავშვს მაშინ, როცა ტემპერატურა 38.3 გრადუსზე მეტია.

ასტროპროგნოზი

12 აპრილისათვის

ვერძი – უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **კურო** – ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. დაკავდით სპორტით. **ტყუპები** – ნურავის მიეგდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. **ლომი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ქალწული** – მშვიდი და პასიური დღეა. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ღრიანკალი** – ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ **თხის რქა** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ბალზაკის მოთხრობა; 2. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ხმამაღალი ხვეწნა, მუდარა; 4. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 5. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 8. ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება სასამართლოში; 12. ალპურ ზონასა და უღრან ტყეებში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ჩანჩქერი არგენტინაში; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. დასაკეცი ჯიბის დანა; 20. ღვინის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი; 10. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 11. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ამერიკელი ჯაზმენი; 17. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 21. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა; 23. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რობაია; 2. ტრამპი; 3. ბერგმანი; 4. ფირუზი; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. სიბარიტი; 12. უოტსონი; 16. ლობიო; 17. ბასფი; 18. დათვი.

თარაზულად: 1. როიტერი; 5. მოწმე; 7. თერაპია; 9. ატამანი; 10. კუპდარი; 13. ბოლნისი; 14. წიწაკა; 15. ბოსი; 19. ქსენონი; 20. სამთავრო; 21. პორტვეინი; 22. ლიმანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ქულბაქი; 2. ბაიადერა; 3. რივერა; 4. გიუმი; 5. პიროლიზი; 8. კურატორი; 12. ქისი; 13. საგურამო; 14. ანდაზა; 16. გარინჩა; 18. სარკე; 19. რაგუ.

თარაზულად: 6. კუკარაჩა; 7. გრინფისი; 8. კაიაკი; 9. ნაურუ; 10. ცერცვაძე; 11. რეაქტორი; 15. მასტროიანი; 17. ქინქლა; 19. ზვარტნოცი; 21. კანტორი; 22. კონსტებლი; 23. წუმწუმა.

კოტე თოლორდავას გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობ კოტე თოლორდავას გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა. მსახიობი გადაღებებზე რუსეთში იმყოფებოდა, სადაც სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს. მისი სიკვდილის მიზეზი, ექსპერტიზის დასკვნით, გულის უკმარისობა გახდა.

კოტეს უკანასკნელი ფილმი კინოეკრანებზე უკვე გამოვიდა. მისი პრემიერა რუსეთის ცენტრალური ტელევიზიის ეთერში შედგა.

ნაწყვეტი ფილმიდან მსახიობის მეუღლე განო მელითაურმა გაავრცელა:

– ყველას, ვისაც გახსოვთ და გენატრებათ... ყველას, ვისაც გჯეროდათ მისი... ქარიზმატული, გამორჩეული, უნიჭიერესი კოტე თოლორდავას ტრაგიკულად დასრულებული, მაგრამ ახდენილი ოცნება!

ისიამოვნეთ, ის უკანასკნელად თამაშობს თქვენთვის! სამწუხაროდ, მოუწიათ სცენების ამოღება, ფილმში შევიდა მხოლოდ ის ეპიზოდები, რომელთა გადაღებაც უბედურ შემთხვევამდე მოესწრო.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერა გადაიდო

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში პრემიერა გადაიდო.

13 აპრილს თეატრის მცირე სცენაზე რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილს მაყურებლისთვის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით სპექტაკლ „მგზავრის წერილების“ პრემიერა უნდა წარედგინა.

დაანონსებული პრემიერა 21 აპრილისთვის გადაიდო. მიზეზი მსახიობ გივი ბერიკაშვილის გარდაცვალებაა. საპრემიერო სპექტაკლში მსახიობის სიძე ნიკა ნანიტაშვილი თამაშობს.

გადაცემას „გააცინე და მოიგე“ ვახო ბიჭიკაშვილი წაიყვანს

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ერთ-ერთ სახალხო იუმორისტულ გადაცემაში „გააცინე და მოიგე“ ცვლილებები განხორციელდა. გადაცემას ახალი წამყვანი ჰყავს.

მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობმა გიორგი ვარდოსანიძემ ამ გუნდთან რამდენიმეწლიანი მუშაობა დაასრულა. მისი განცხადებით, სამსახურის დატოვების მიზეზი ანაზღაურება გახდა. როგორც მსახიობმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას ახალი ხელფასი ეცოტავა და გადაცემა დატოვა.

უკვე გავრცელდა ახალი გადაცემის სარეკლამო ვიდეორგოლი. ის ეთერში 15 აპრილს გავა და გიორგი ვარდოსანიძის ნაცვლად გადაცემას „კომედი შოუს“ მსახიობი ვახო ბიჭიკაშვილი გაუძღვება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბილ კლინტონმა ბუშ-უფროსს მხიარული წინდები აჩუქა

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მეორე ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უფროსი მოინახულა და მას წინდები გადასცა.

92 წლის პენსიონერისთვის მირთმეული საჩუქარი გაფორმებული იყო სხვადასხვა ცხოველების გამოსახულებებით. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბუში-უფროსი რეგულარულად ატარებს უჩვეულო წინდებს, მათ შორის სუპერმენის ლოგოტიპიანს.

– ჩვენ ბავშვებზე, შვილიშვილებზე, წარსულსა და მომავალზე ვისაუბრეთ. და წინდებზე, – დაწერა კლინტონმა თავის ტვიტერში. მან ასევე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელიც იმ მომენტშია გადაღებული, როდესაც ბუშ-უფროსს საჩუქარს გადასცემს.

აღსანიშნავია, რომ ჯორჯ ბუში-უფროსი ყველაზე ხანდაზმულია ამჟამად ცოცხალ აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტებს შორის. მას პარკინსონის დაავადება აწუხებს და სპეციალური ეტლით გადაადგილდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„გივი ბერიკაშვილია დაბალი დონის მსახიობი-მასხარა?“

მსახიობ გივი ბერიკაშვილის გარდაცვალებამ ბევრს დასწყვიტა გული, თუმცა, საუბედუროდ, ადამიანთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მას დაბალი დონის მსახიობი-მასხარა უწოდეს.

ინფორმაცია ამის შესახებ იუმორისტმა ბაკურ სვანიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ალეკო მალხაზიშვილი გამოაცხადეს დაუმორჩილებელ გმირად და ქართული იუმორის კორიფედ!

გივი ბერიკაშვილზე წერენ – ეგ დამონებული და თან დაბალი დონის მსახიობი-მასხარა იყოო...

და მერე თქვენ მიკრძალავთ, რომ ავდგე და ამათ დედის ტრ..ი ვაგინო?

„ჩინოვნიკებს 4000 დოლარი ხელფასები აქვთ და ზურას კი — 500 ლარი... სირცხვილი არ არის?!“

მსახიობი ზურა ყიფშიძე ყველა თაობის მაყურებელ უყვარს, მაგრამ, ცოტა თუ ფიქრობს, რა პირობებში უწევს მას მუშაობა ან ცხოვრება.

მისმა შვილმა გიორგი ყიფშიძემ გაფიცვა უკვე დააანონსა და კოლეგებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

პროდიუსერი თამაზ ორაშვილი კი ჩინოვნიკებს მიმართავს და ზურა ყიფშიძის ღვაწლის დაფასებისკენ მოუწოდებს.

თამაზ ორაშვილი:

– თქვენ მართლა ხომ არ გაჟრიალებთ, ჰა�ა...

ბევრი ჰყავს ქვეყანას ასეთი ადამიანები? თქვენზე ნაკლებს შრომობს თუ ქვეყნის სახელი არ გააქვს გარეთ? თუ ხალხის სიყვარული და პატივისცემა აკლია? იმ სახელმწიფოს გავკარი, ასეთ ადამიანებს სათანადოდ რომ არ დააფასებს...

რას მიკეთებს პარლამენტის კულტურისა და მეცნიერების კომიტეტი და კიდევ შიგ შემავალი წევრები? თუ არა ასეთ ადამიანებზე ზრუნვა... ყველა როგორ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობთ....

რამდენჯერ მიგანიშნეთ როგორც აქ, ისე პირად შეხვედრებზე, დროულად მიხედეთ პრობლემებს, თორემ ერთ დღესაც იფეთქებს ეს ყველაფერი....

აჰა, აგიხდათ კიდეც... მაგრად შეგრცხვებათ, როცა გრიგოლიას გადაცემას ნახავთ.

ამ ჩინოვნიკებს 3000 ლარზე ნაკლები, ზოგს კიდევ 4000 დოლარი ხელფასები აქვთ და ზურას კი 500 ლარი... სირცხვილი არ არის?

ირინა შეიკი და ბრედლი კუპერი მშობლები გახდნენ

რუსი წარმოშობის სუპერმოდელ ირინა შეიკსა და ჰოლივუდის მსახიობ ბრედლი კუპერს ბავშვი ეყოლათ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის სქესი და სახელი ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. გარდა ამისა, ბავშვის დაბადების შესახებ მას მედიამ ირინას მშობიარობიდან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეიტყო.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წყვილი ბავშვის გაჩენას ელოდებოდა, გასული წლის დეკემბერში გავრცელდა. შეიკი და კუპერი 2015 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს.

31 წლის ირინა შაიხლისლამოვა, რომელიც ირინა შეიკის სახელითაა ცნობილი რუსეთის ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ემანჟელინსკში დაიბადა. ის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ბრენდების სახეს წარმოადგენდა. ამჟამად შეიკი წარმოადგენს კოსმეტიკურ მარკა Avon-ის და ამავე დროს Victoria's Seqret-ის ერთ-ერთი „ანგელოზია“.

42 წლის კუპერი – ამერიკელი მსახიობი, ოთხჯერ იყო ნომინირებული „ოსკარის“ პრემიაზე როლებისთვის ფილმებში „ჩემი ბიჭი – ფსიხი“, „აფიორა ამერიკულად“, „სნაიპერი“ და ასევე „საუკეთესო ფილმის“ კატეგორიაში როგორც ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პროგრამა

ოთხშაბათი
12 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10, 04.20** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ნიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 02.20** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.20** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **22.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/4 ფინალური მატჩი **00.40** მხ/ფ "**მოთამაშე ქალი**" (კ.კლაინი)

08.00 დ/ფ "გენერალი კანჯი იშივარა" **09.00** დ/ფ "გენერალი კანჯი იშივარა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "კლიტ ისტვუდი-მოხალისე მსროლელი" **11.35** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **12.00** ტ/სერ. "**ვეას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩანტრი ვებრინე**" **14.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **15.00, 18.00**"ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **22.45 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგის პირველი 1/4 ფინალური მატჩი **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** მხ/ფ "**ზღვარზე**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** ს დილა **10.05** სერ. "**პაბარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**თეთრი დედოფალი**" **6** სერ. **01.30** მხ/ფ "**შეცვლილი გზები**" **03.45** მხ/ფ "**დროის ხაფანგი**"

06.00 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. "ჰუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00, 17.00** სერ. "**არიზონალური აზროვნება**" **13.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **14.00** სერ. "**ალქმა**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **21.00** სერ. "**გოგორა**" **22.30** მხ/ფ "**საუკეთესო წინადადება**" **01.00** მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" **03.40** მხ/ფ "**გაბეხილი ისარი**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "ქართველი მამალუქები ეგვიპტეში" **11.10** ერთი წვეთი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ვნების კვირა წმინდა მიწაზე **3** ნაწ. **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" **15.05** ქართული ან/ფ **15.10** დ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" **16.30** დიდი ოთხშაბათი-მამა მაქსიმე **17.00** კვირიაკის სიუჟეტი-წმინდა მიწაზე **3** ნან. **17.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55, 21.55** საეკლესიო კალენდარი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **20.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება ვნების შვიდეული-ოთხშაბათი **20.40** ძილი ნებისა "იოსები ძმებს პატიობს" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერინსაჯი **21.15** იუდას მიერ უფლის გაცემის დღე **21.25** დ/ფ "სულიერი სამშობლო" **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "გაგრა" **00.30** დ/ფ "საუკუნის პორტრეტები მიხეილ თუმანიშვილი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**პარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**ბემი**" **23.10** სერ. "**ესპრეზარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**სენტრალური საავადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა
Akhali Taoba
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 აპრილისთვის

აშშ დოლარი	2.4158
ევრო	2.5559
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2.9966
100 რუსული რუბლი	4.2151

ამინდის პროგნოზი 12 აპრილისთვის

11 აპრილიდან

ბერძნული მითები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 აპრილიდან

ლიონ ფოიხტვანგერი

გოია

ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 24-ე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

6 აპრილიდან

საბავშვო ბიბლია

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

ედგარდო ბაუსა არგენტინის ნაკრების მწვრთნელი აღარ იქნება

არგენტინის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება, რადგან ედგარდო ბაუსა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს ინფორმაცია არგენტინის საფეხბურთო ფედერაციაშიც დაადასტურეს.

ბაუსა არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს, რადგან 8 შეხვედრიდან მისი ხელმძღვანელობით არგენტინამ მხოლოდ სამი მოიგო.

გარდა ამისა, არგენტინის ნაკრები, შესაძლოა, 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ მოხვდეს, რაც უდიდესი წარუმატებლობა იქნება.

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ იქნება ნაკრების მომავალი მწვრთნელი. არგენტინის საფეხბურთო ფედერაცია რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს.

ედისონ კავანი პსჟ-სთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

პსჟ-ს ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი წელს შესანიშნავ ფორმაშია და ის თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია. ამის გამო პსჟ ცდილობს, კავანისთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს, რაზეც ურუგვაელი ფორვარდი თანახმაა, თუმცა მას რამდენიმე პირობა აქვს.

სავარაუდოდ, პსჟ დათმობაზე წავა, რადგან კავანი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, ხოლო მისი წასვლის შემთხვევაში პარიზული გუნდი საგრძნობლად დასუსტდება.

კავანი პსჟ-ში 4 წელია თამაშობს, მანამდე კი იტალიური ნაპოლის ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

პროფესორი ეკონომიის ლექციას უკითხავს სოფლის მცხოვრებლებს და ეუბნებათ:

– მე თქვენ გასწავლით, თუ რომელ ფასიან ქაღალდებში უნდა დააბანდოთ თქვენი შემოსავლები.

ერთ-ერთმა გლეხმა დარბაზიდან პასუხად მიაძახა:

– ბატონო ჩემო, ჩვენი შემოსავლებით ყველაზე ღირებული ტუალეტის ქაღალდია...

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ზღვაზე მინდა წასვლა.

– რატომ?

– ვგრძნობ, ჩემ მოლოდინში როგორ ღელავს.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, რომელი უფრო კმაყოფილია ცხოვრებით, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს, თუ რომელსაც ექვსი მილიონი დოლარი აქვს?

– რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ რომელსაც ექვსი მილიონი აქვს, კიდევ უნდა.

●●●

მამაკაცი ქუჩაში მიდის, შემხვედრ ქალებს ათვალიერებს და თან თავისთვის ბურტყუნებს:

– აუ, ჩემ ცოლს რომ ასეთი ფეხები ჰქონდეს... აუ, ჩემ ცოლს, რომ ასეთი მკერდი ჰქონდეს...

სახლში მისული, ცოლს ეუბნება:

– იცი, ძვირფასო, არ დამიჯერებ და მთელი გზა მხოლოდ შენზე ვფიქრობდი...

●●●

ახლად შეუღლებულები. ცოლი ქმარს საყვედურობს:

– ჩემი გაკეთებული საჭმელი არ მოგწონს! არადა ქორწილამდე მეფიცებოდი, ჩემი გულისთვის საფლავშიც კი ჩაწვებოდი!

კაცმა პირჯვარი გადაიწერა და ეუბნება:

– კარგი, მომიტანე შენი კოტლეტები...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ეს წელი ადრინდელზე უკეთესი იქნება.

– ასე დარწმუნებული რატომ ხარ?

– თუნდაც იმიტომ, რომ ერთი დღით მოკლე იქნება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ტერეზა მეი ფიტნესმა გაიტაცა



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ თავის პერსონალურ მწვრთნელთან ერთად ფიტნესში დაიწყო ვარჯიში.

აღსანიშნავია, რომ 60 წლის მეიმ ფიტნესში სავარჯიშოდ ლი კარნაბი დაიქირავა. ის სპორტსმენთან ერთად კვირაში ერთ დღეს უთმობს ვარჯიშს და მას მხოლოდ მაშინ აცდენს, როდესაც საზღვარგარეთ იმყოფება. ბრიტანელ პოლიტიკოსს ერთი საათი ვარჯიში 45 ფუნტ სტერლინგი (დაახლოებით 55 დოლარი) უჯდება.

კარნაბიმ შეადგინა ვარჯიშების სერია, რომელშიც შედის კროსფიტი, ტანვარჯიში, სასწორთან მუშაობა და კარდიო. ბრიტანელის თქმით, მეი დიდი სიამოვნებით ვარჯიშობს. ცნობილია, რომ მას პირველი ტიპის დიაბეტი აწუხებს. ცხოვრების აქტიური, სპორტული წესი ეხმარება მეის გაუფრთხილდეს საკუთარ ჯანმრთელობას და ასევე ფორმის შენარჩუნებაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დიეგო სიმეონე: „ლესტერთან რთული მატჩი გველის“

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ ლესტერთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს რთული მატჩები ელის.

სიმეონეს თქმით, ლესტერი ბევრ რამეში ჰგავს ატლეტიკოს და ამ ორ გუნდს თამაშის ერთნაირი სტილი აქვს.

პირველი მატჩი მადრიდში ოთხშაბათს, 12 აპრილს გაიმართება, განმეორებითი კი – 18 აპრილს.

აღსანიშნავია, რომ ლესტერი და ატლეტიკო ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ევროტურნირებზე. პირველად ეს 1997 წელს მოხდა უეფას თასზე და მაშინ ორი მატჩის ჯამში გამარჯვებული ატლეტიკო გამოდგა. ამჯერადაც ესპანელები ფავორიტები არიან, თუმცა ლესტერმა დაამტკიცა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მასთან ხუმრობა არ შეიძლება.

არსენ ვენგერის მომავალი გაურკვეველია

არსენალმა კრისტალ პალასთან სტუმრად 0:3 წააგო და ამ მარცხის შემდეგ არსენალს ძალიან გაუჭირდება პირველ ოთხეულში მოხვედრა.

არსენალის გულშემატკივრები უკვე აქტიურად ითხოვენ არსენ ვენგერის გუნდიდან წასვლას, მაგრამ თვითონ ფრანგი სპეციალისტი ჯერჯერობით ამის გაკეთებას არ აპირებს. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ვენგერმა განაცხადა, რომ მან არ იცის, თუ რა მოხდება სეზონის ბოლოს და მისი მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია.

არსენალში ზაფხულში დიდი ცვლილებები იგეგმება და, სავარაუდოდ, ვენგერი არსენალს დაემშვიდობება.

არსენ ვენგერი არსენალში 1996 წლიდან მუშაობს.

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 2. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 3. ჩეჩნების, ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. მძიმე, თხევად საწვავზე მომუშავე შიგაწვის ძრავა; 6. ცნობილი არგენტინელი კალათბურთელი; 8. გაზეთი, რომელიც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა; 11. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 12. მაღალხარისხოვანი სპირტიანი სასმელი; 16. ქართული ბანკი; 17. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 18. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

თარაზულად: 1. ავსტრალიის დედაქალაქი; 5. ძვირფასი ლითონების რაოდენობის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ნაკეთობაზე; 7. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 9. ქორ-შევარდენთა გამწვრთნელი; 10. იტალიელი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 19. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 14. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 15. გაწყალებული ღვინო; 19. ხელოვნური წყალსაცავი მცხეთა-მთიანეთში; 20. ტბა სამხრეთ საქართველოში; 21. ქართველი თეატრალური მხატვარი, მოქანდაკე; 22. წყალი მყარ მდგომარეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ლურჯი წითელი ყვითელი შავი